# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 2 ოქტომბერი 2008 №227 (3451) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# გარსონ, გიკვეთავთ გამოძიებას!

## რა ზენიტი, რის გაზპრომი, უეფას თასი ტამბოველ მგლებს მოუგიათ...




გუშინ ესპანურმა „ელ პასმა“ დაწერა და მსოფლიოს სააგენტოებმა უმალ აიტაცეს სენსაციური ცნობა: წინა სეზონში სანკტ პეტერბურგის „ზენიტს“ უეფას თასის ფინალში გასვლა 50 მილიონად უყიდია!

შეგახსენებთ, რომ უეფას თასის ნახევარფინალში „ზენიტი“ მიუნხენის „ბაიერნს“ შეხვდა. პირველი, მიუნხენური მატჩი 1:1 დასრულდა, საპასუხო კი გაზპრომელებმა 4:0 მოიგეს. ფინალში კი „ზენიტმა“ გლაზგოს „რეინჯესი“ 2:0 დაამარცხა.

ესპანური წყაროები იუწყებიან, რომ არსებობს სატელეფონო ჩანაწერი, რომელშიც მავანი ტამბოველი მაფიოზი ლეონიდ ხრისტოფოროვი თავის ბოსს, გენადი პეტროვს ამცნობს, რომ „ზენიტი“ — „ბაიერნის“ მატჩი 4:0 დასრულდება. ჩანაწერში ნახსენებია 50 მილიონიც, რომელიც გერმანულმა კლუბმა მიიღო. ერთია, რომ მოსაუბრენი ვალუტას არ ასახელებენ და ამდენად უცნობი რჩება, 50 მილიონ ევროზეა ლაპარაკი, დოლარზე თუ, ვთქვათ, ქართულ ლარზე, თუმცა ვალუტის მიუხედავად საქმის არსი არ იცვლება.

იმავ წყაროების მიხედვით, ეს სამხილი ესპანელმა მოსამართლე ბალთაზარ გარსონმა უკვე გაუგზავნა გერმანელ გამომძიებლებს.

გეცნობათ ეს მოსამართლე? ბალთაზარ გარსონი ის მოსამართლეა, 1998 წლის 10 ოქტომბერს ჩილეს ყოფილი დიქტატორის აუგუსტო პინოჩეტის დაპატიმრების სანქცია რომ გასცა და ამით მსოფლიოში სახელი გაითქვა.

და რა კავშირშია „ზენიტი“, „ბაიერნი“ და ტამბოვური მაფია ესპანურ სასამართლოსთან? პირდაპირში: ნახსენები გენადი პეტროვი იმ ოც რუს კრიმინალურ ავტორიტეტს შორისაა, რომლებზეც დაპატიმრების სანქცია ამა წლის ივნისში ბალთაზარ გარსონმა გასცა. ტამბოვური მაფიის ეს ლიდერები ესპანეთში განცხრომით ცხოვრობდნენ და იქ რუსულ კრიმინალურ ფულს ათეთრებდნენ. ჰოდა, როგორც ესპანური წყაროები გვამცნობენ, მათზე თვალთვალისა და მიყურადებისას აღმოაჩინეს ეს კრიმინალური საფეხბურთო სამხილი ჯერ




კიდევ გაზაფხულზე.

„ბაიერნი“, ბუნებრივია, ყოველგვარ კრიმინალურ გარიგებაში მონაწილეობას უარყოფს და იქით ინტერესდება, თავად გვსურს შევიტყოთ, რა ხდებაო...



# ვინ შეაგინა პოლ კესანს?

## გაგონელმა, ზესტაფონიდან შეურაცხყოფისთვის ნავედიო

## ეს დასამტკიცებელია, თორემ აგერ ფიფა და აგერ სასჯელი!

# ბოლო წუთმა ლიდერი შეცვალა

## დინამომ კი ანეკდოტი დაამარცხა



დინამო 2:1 ოლიმპი. მატჩის პირველი გოლი

# ქართველი კვიპროსისთვის

## ფრე ვერდერთან, მოგება პანათინაიკოსთან

## შემდეგი გამომცდელი — ინტერი და მაუ



## საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა · I წრე. 4 ტური

# დინამომ ანეკდოტს მოუგო

თბილისი. 1 ოქტომბერი. 15 საათი. ეროვნული. 1 500 მაყურებელი

### დინამო 2:1 ოლიმპი

1:0 ვაწაძე (47), 1:1 გაბიდაური (49), 2:1 ჯიუსი (89)

| | |
|---|---|
| დინამო: ოვონო, თომაშვილი, გ. კაშია, კრშკო, ელიავა, ნერგაძე, დილმელაშვილი (ჯიუსი 46; ინწკირველი 90), ხმალაძე, ოდიკაძე (სპასოევიჩი 80), გ. მერებაშვილი, ვაწაძე სათადარიგონი: ლორია; შ. კაშია, გველესიანი, ფირცხალავა | ოლიმპი: მერლანი, გაბიდაური, გ. სეთურიძე (ბაბუნაშვილი 58), ა. გილაური, აკუასაგა, გ. ჩხეტიანი (ფიფია 52), თ. ლონლაძე, დეკანოსიძე (მიკუჩაძე 77), დობროვოლსკი, ჩიკვილაძე, მეგრელაძე სათადარიგო: სტურუა |
| მწვრთნელი: რაინერ ცობელი | მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი |

გაფრთხილება: მიკუჩაძე (88)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, კ. გაბრიაძე, ზ. ჯვარიძე, ვ. ელისაბედაშვილი

დამკვირვებელი: ო. გუნთაძე



დონალდ ჯიუსის (№15) საშპულიანი თავური

**ილია ნანობაშვილი**

„**რამდენი** წელია, მწვრთნელი ვარ და ჩემს გუნდს ასე ცუდად არასოდეს უთამაშია. კი, შეიძლებოდა, ფრედ გვეთამაშა, შეიძლებოდა, იქით მოგვეგო, მაგრამ უფრო ვიტყოდი, გაგვიმართლა, დიდი ანგარიშით რომ არ წავაგეთ. ეს თამაში კი არა, ანეკდოტი იყო" — „ოლიმპის" მწვრთნელი ხვიჩა ქასრაშვილი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ძალიან შეწუხებული იყო, ამ საცოდავ თამაშს გავაანალიზებთ, გავიგებთ, რაში იყო საქმეო.

ერთი კია, რუსთაველები, რაღაც მხნედ ვერ იყვნენ, თითქმის ყველა ორთაბრძოლას აგებდნენ, დროდადრო გიორგი მერებაშვილს ისე თავისუფლად გაძრომა-გამოძრომის საშუალებას აძლევდნენ, საბავშვო ბაღი გეგონებოდათ. აბსოლუტურად მოშლილი იყო „ოლიმპის" თავდასხმა და ის გოლიც, რომელიც გაიტანეს, რაიმე გააზრებული შეტევის ნაყოფი არ ყოფილა — გიორგი გაბიდაურს საჯარიმოდან გამოვარდნილი ბურთი ჰაერშივე კარგად მოაჯდა ცაციაზე და ათიანში გაისროლა, კინაღამ ბადე გახვრიტა.

ულამაზესი გოლი იყო, რომელიც 49-ე წუთზე ვიხილეთ, მანამდე ცოტა ხნით ადრე კი „დინამომ" გაიტანა: მერებაშვილმა მარჯვენა ფლანგიდან თავზე დაასვა ბურთი, მათე ვაწაძეს და მირზა მერლანი უშანსოდ დარჩა.

გოლების გაცვლამდე კი ინერტული, დაბალტემპიანი პირველი ტაიმი იყო, სადაც „დინამო" მაინც ფლობდა შესამჩნევ უპირატესობას და შეუჩერებელ მერებაშვილს ცოტა რომ გამართლებოდა, ანგარიში 35-ე წუთზე გაიხსნებოდა. დინამოელთა მე-10 ნომერმა მეტოქის საჯარიმოს კიდესთან იფინტავა და შორეულ კუთხეში დაარტყა, მაგრამ სტუმართა ბედად, ძელს მოარტყა.

შემდეგ გიორგი მარცხნიდან შურდულივით შეიჭრა მერლანის ბაქანზე და ვაწაძე მონახა, რომელიც ჯერ დაეცა, შემდეგ წამოდგა და ბურთი თითქოს დაიმორჩილა, მაგრამ ისევ დაეცა — ამჯერად ოლიმპელთა მცველების მცირე დახმარებით. მასპინძლები პენალტს ითხოვდნენ, თუმცა მსაჯმა არ ჩასტვინა.

რუსთაველებმაც შექმნეს ერთი ხიფათი, როცა გიორგი დეკანოსიძემ ლამაზი პასით გია მეგრელაძე დატოვა დიდიე ოვონოსთან პირისპირ, თუმცა მეგრელაძემ ბურთი ვერ დაიმორჩილა, დარტყმის ნაცვლად უკან დაუვარდა...

წელანაც ვთქვით, სტუმართა ფორვარდები ინერტულები იყვნენო და ამ მხრივ გაგა ჩხეტიანი „გამოირჩეოდა", აკი შეცვალა კიდეც ქასრაშვილმა, მაგრამ ვერც გოგი ფიფიამ და ვერც მოგვიანებით შესულმა კოკა მიკუჩაძემ თამაში ვერ გაამწვავეს.

დაახლოებით მე-60 წუთიდან დინამოელთა შეტევები უფრო გამძაფრდა, მერებაშვილს ბურთს ვერ ართმევდნენ, ვაწაძეც ბევრს აწუხებდა სტუმრებს და მერლანს რომ არ ეყოჩაღა, მასპინძლები ბოლო წუთებამდე არ გადადებდნენ საქმეს — მათეს მძლავრი დარტყმისას მეკარემ კარგი ნახტომი გაჭიმა.

„ოლიმპი" აშკარად თანახმა იყო ფრეზე, რაინერ ცობელის გუნდი კი შტურმზე არ გადასულა, თუმცა თამაში ისეთი იყო, თუ გაიტანდა, ისევ „დინამო" გაიტანდა... და მოხდა კიდეც: 89-ე წუთზე მერებაშვილმა მარცხნიდან ჩააწოდა, კამერუნელმა დონალდ ჯიუსმა კი თავით შეაგდო — 2:1.

დონალდ დერინგ ჯიუსი შესვენების შემდეგ გამოჩნდა მინდორზე და დიდად აქტიური არ ყოფილა, მაგრამ მნიშვნელოვანი გოლი კი შეაგდო. იმწუთსავე ცობელმა მესამე შეცვლა გააკეთა და ლექსო ინწკირველი სწორედ ჯიუსის ნაცვლად შეიყვანა. მწვრთნელმა ეს ასე ახსნა: „დონალდს სხვებზე უკეთ არ უთამაშია, მაგრამ მისი მაინც მადლობელი ვარ. გადამწყვეტი ბურთი გაიტანა. რატომ შევცვალე? დროის გაყვანა მსურდა, მაგ დროს ოვონოს გარდა ნებისმიერის შეცვლა შემეძლო. თანაც, ჯიუსი ახალგაზრდაა, ამ გოლს, შესაძლოა, ცაში აეფრინა და ბოლოს მოდუნებულიყო".

რადგან შეცვლებზე ვლაპარაკობთ, ისიც ვთქვათ, რომ გუშინ „დინამოს" კაპიტნის სამკლავური რიგრიგობით სამმა ფეხბურთელმა მოირგო: დავით დილმელაშვილმა, დავით ოდიკაძემ და ლევან ხმალაძემ.

ბოლოს კი „დინამოს" ჰანდიკაპით მოგებაც შეეძლო — ოლიმპელი თენგიზ ჩიკვილაძის უხეში შეცდომის შემდეგ მერებაშვილმა ხარიხას შეაწყვიტა ბურთი, გამოვარდნილს კი ხმალაძემ დაამატა და მერლანმა ძლივს მოიგერია.

ამას მსაჯის საფინალოდ ჩასტვენაც მოჰყვა, ოლიმპელი მიკუჩაძე და დინამოელი გურამ კაშია შელაპარაკდნენ. რასაც გასახდელშიც მოჰყვა გაგრძელება, მაგრამ სიტუაცია მალევე ჩაწყნარდა.

და კიდევ, მგონი, თქმა არცაა საჭირო, რომ მატჩს ექტორ რაულ კუპერი დაესწრო და ბლოკნოტში გამალებით იწერდა რაღაცებს, იქვე ლოჟაშივე იყო პეტარ სეგრტიც...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 9 |
| დინამო | 4 | 2 | 0 | 2 | 7:5 | 6 |
| მგლები | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 6 |
| გაგრა | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| სიონი | 4 | 1 | 2 | 1 | 1:1 | 5 |
| მესხეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| ზესტაფონი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| ბორჯომი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| ოლიმპი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| სპარტაკი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |



გიორგი გაბიდაურის (№7) სუპერგოლი

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 4 ტური

გორი. 1 ოქტომბერი. 15 საათი. თ. ბურჯანაძე. 200 მაყურებელი

## ვიტ ჯორჯია 1:2 ლოკომოტივი

1:0 ლიპარტია (40), 1:1, 1:2 ალექსიძე (70, 90)

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, ბეჭვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კვალიძე (ვ. კვარაცხელია 79), გ. მელქაძე, კლიმიაშვილი, ლიპარტია
*სათადარიგონი:* ა. მიქაბერიძე, ხურცილავა, ყველაშვილი, მაისაშვილი, ბერიაშვილი, ლუჭაშვილი
**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

**ლოკომოტივი:** გ. ლომაია, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი (ლ. გრიგალაშვილი 55), ფარულავა, კახელიშვილი, ცქიტიშვილი, ზ. ჩხეტიანი, ი. სამხარაძე (ბარბაქაძე 46), ჩირიკაშვილი, დარასელია (კ. მახარაძე 90), ალექსიძე
*სათადარიგონი:* ბათიაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, ი. გილაური, ბებუა
**მწვრთნელი:** გიორგი კიკნაძე

**გაფრთხილება:** სამხარაძე (14), კვალინიძე (14), ჩხეტიანი (23), ფარულავა (55), კახელიშვილი (72), კლიმიაშვილი (76)

**მსაჯები:** მ. ურუშაძე, ს. სპიცინი, დ. სანოძე, ა. ნონიკაშვილი

**დამკვირვებელი:** ე. სილაგავა



# რატი-გოლი

## ლოკომოტივმა ვიტ ჯორჯიაც მოინელა და უკვე ლიდერია!

**ნუკრი ლოლაძე გორიდან**

**მეოთხე** ტურის ერთ-ერთი მთავარი მატჩი გორში გაიმართა — „ვიტ ჯორჯიამ" „ლოკომოტივს" უმასპინძლა.

უნდა ითქვას, რომ კარგი თამაში გამოვიდა, თუმცა მაყურებლის სიმცირემ ეს ოდნავ გააუფერულა. ასეთ შეხვედრებზე მეტი მაყურებელი უნდა დადიოდეს, მით უმეტეს, როცა დასწრება უფასოა.

„ლოკომოტივს" დისკვალიფიკაციამოხდილი დაჩი ფოფხაძე დაუბრუნდა და მარჯვენა მცველობა გიორგი კახელიშვილმა მას დაუთმო, თავად კი ამჯერად მარცხენა მცველად მოგვევლინა, რადგან ლევან სარალიძეს სიცხე ჰქონდა და ტრიბუნაზე იჯდა.

საწყის ათ წუთში გუნდებს ნერვიულობა ეტყობოდათ, ხიფათიც არც ერთ კართან არ შექმნილა.

მე-11 წუთზე კარისკენ პირველად გიგა ბეჭვაიამ დაარტყა, მაგრამ გიორგი ლომაიას ალება არ გასჭირვებია. ორ წუთში კახელიშვილმა მარცხენა ფრთიდან ჩააწოდა საჯარიმოში, იქ რატი ალექსიძემ მიიღო ბურთი და გაიტანა კიდეც, თუმცა თამაშგარე დაფიქსირდა და არ ჩაუთვალეს.

მოედანზე მალე სიტუაცია დაიძაბა — ირაკლი სამხარაძე და გიორგი კვალინიძე წაკინკლავდნენ. ამას გუნდური ჩოჩქოლი მოჰყვა და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ჩხუბის მსურველებმა ყვითელი ბარათები მიიღეს.

24-ე წუთზე გასულ ორ ტურში ორი საჯარიმოს გამტან კვალინიძეს კარში დარტყმის საშუალება მიეცა, თუმცა კედელს ვერ ააცილა ბურთი.

ვიტალი დარასელიამ საჯარიმო ჩვეულად კარისკენ ჩააზვია, გრიგოლ ბედიაშვილმა კი ბურთი სამშვიდობოს მოისროლა.

ამის მერე ირაკლი ჩირიკაშვილმა მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში ჩაჰკიდა ბურთი — იქ მცველებს ალექსიძემ მოუგო ბრძოლა და კარშიც დაარტყა, მაგრამ უშედეგოდ.

ნახევარი საათი მიილია და ვიტელთა უპირატესობა ნელ-ნელა გამოიკვეთა — ისინი მეტს მოძრაობდნენ და ორთაბრძოლებში მეტწილად გამარჯვებულებიც რჩებოდნენ.

34-ე წუთზე ბეჭვაია-დათუნაიშვილ-ლიპარტიას გათამაშებული კომბინაცია და, „ლოკომოტივი" გოლს გადაურჩა — ლომაიამ ლიპარტიას დარტყმული ფეხით მოიგერია კუთხურზე.

გიორგი კიკნაძის შეგირდები პირველ ნახევარში მაინც ვერ ასცდნენ გაშვებულ გოლს. ირაკლი კლიმიაშვილმა ლიპარტიას მისამართით გააკეთა გადაცემა, ვიტელმა ფოფხაძეს სისწრაფეში აჯობა, ამ დროს რატომღაც კარიდან საკმაოდ მოშორებით გამოვიდა ლომაია და... ლიპარტიასაც მეტი რა უნდოდა, ბურთი თავზე გადაავლო — 1:0.

ლომაიასთვის ეს პირველი გაშვებული გოლი იყო მე-20 ეროვნულ ჩემპიონატში. იმ წუთისთვის ჩემპიონატში გოლგაუშვებელი ბედიაშვილიღა რჩებოდა, თუმცა...

ლიპარტიამ გოლი ხომ გაიტანა და, სხვა ბევრი თავსატეხიც გაუჩინა „ლოკომოტივის" მცველებს. რომ იტყვიან, დატანჯა ნიკა გუშარაშვილი.

მეორე ნახევარში „ლოკომოტივმა" თამაში გამოასწორა. ვიტელები არაფრის დათმობას არ აპირებდნენ, ყველა გოჯზე გააფთრებული ბრძოლა იყო.

58-ე წუთზე კი სტუმრებს ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ. კახელიშვილმა მარცხნიდან ჩააწოდა საჯარიმო, მცველმა ბურთს ფეხი ვერ მიარტყა და გიორგი ბარბაქაძეს მართებდა გატანა, მაგრამ კარს ვერ დაუმიზნა.

ამის შემდეგ კვალინიძეს აული ლომაიამ, კლიმიაშვილის დარტყმული კი გარედან მოხვდა ბადეს...

70-ე წუთზე „ლოკომოტივმა" საწადელს მიაღწია. დარასელიამ მაკრატელათი საჯარიმოში მშვენიერი პასი მისცა ალექსიძეს, რომელიც ცენტრალურ მცველებს მიტოვებული ჰყავდათ და რატიმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა — 1:1.

ამრიგად, ბედიაშვილმაც შეწყვიტა მშრალი სერია.

ნესტორ მუმლაძეს ეს ანგარიში ხელს არ აძლევდა და თამაშში მეორე თავდამსხმელი ჩართო, თუმცა ვახტანგ კვარაცხელიამ აშკარად ვერ გაამართლა, ლიპარტიას კი დაღლა დაეტყო.

მატჩი დასასრულისკენ მიდიოდა, ჩირიკაშვილმა მშვენივრად გადაიტანა მარცხნიდან ბურთი ალექსიძის მისამართით. რატის არავინ მეურვეობდა, საჯარიმოში შეიჭრა და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა — 1:2.

რა გასაკვირია, ლოკომოტიველთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა...

### პრესკონფერენცია

*გიორგი კიკნაძე:* პირველ ნახევარში მეტოქემ გვაჯობა. გვეტყობოდა; რომ რამდენიმე დღის წინ „დინამოსთან" მძიმე ბრძოლა გადავიტანეთ. ბიჭებს მადლობა მინდა ვუთხრა, განსაკუთრებით უნდა გამოვყო რატი ალექსიძე. მას წლეულს სერიოზულად შეუძლია ბომბარდირობისთვის ბრძოლა.

*ნესტორ მუმლაძე:* სანახაობრივი მატჩი გამოვიდა. განსხვავებული ორი ტაიმი ვიხილეთ, პირველ ტაიმში ჩვენ გამოვიყურებოდით უკეთ, მეორეში კი მეტოქემ იძალა. დასანანია, რომ ბოლო წუთზე გავუშვით გოლი. წაგების მიუხედავად, გუნდის თამაშით უკმაყოფილო არ ვარ. რაც შეეძლოთ, იბრძოლეს.

# სპარტაკი: პენალტი არ იყო! მგლები: შეცდომა არ იყო!

ზუგდიდი. 1 ოქტომბერი. 15 საათი. გ. თუთბერიძე. 300 მაყურებელი

## მგლები 2:0 სპარტაკი

1:0 ლომია (15პ), 2:0 გულორდავა (21)

**მგლები:** მამალაძე, ქითანავა, აქუბარდია, ხუხია, რეხვიაშვილი, ჯოჯუა, გუჩუა (დარსანია 85), გულორდავა (გ. ჯანაშია 88), ლომია (ქუცურუა 74), გ. თოდუა, გ. მიქაბერიძე
*სათადარიგონი:* ქალდანი, კ. გოგოხია, ა. ბაჯელიძე, ი. ჯიშკარიანი
**მწვრთნელი:** ბესიკ შეროზია

**სპარტაკი:** გ. იაშვილი, ქორიძე, ბ. ხაჭიპერაძე, კობახიძე, მამუკაშვილი (ქვილითაია 21), ზ. დათუნაშვილი, ნ. გოგოხია, ჯანგიძე, მ. ლონლაძე (ბახტურიძე 70), სირბილაძე, გ. ხიდეშელი (ოსეფაშვილი 70)
*სათადარიგონი:* კუპრეიშვილი, ნადირაძე, მაისურაძე, შალამბერიძე
**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი

**გაფრთხილება:** იაშვილი (15, 21), გუჩუა (45), მიქაბერიძე (51)

**გაძევება:** იაშვილი (21)

**მსაჯები:** გ. კიკაჩეიშვილი, კ. ტეფნაძე, თ. ხუჭუა, ჯ. ბუიშვილი

**დამკვირვებელი:** რ. ტალიაშვილი

**სოსო გულუა ზუგდიდიდან**

**ზუგდიდში** გადაუღებელმა წვიმამ მოედანსაც დაასვა დაღი, თუმც გუნდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 90 წუთი კარგი ბრძოლა გააჩაღეს.

მასპინძლებმა თავიდანვე შეუტიეს. მე-4 წუთზე გიორგი გულორდავას ძლიერად დარტყმული მოიგერია გიგა იაშვილმა, მე-10 წუთზე კი იმავ გულორდავას დარტყმული გაუცუდდა.

რამდენიმე წუთში კი მასპინძლებმა პენალტის უფლება მოიპოვეს — საჯარიმოში შეჭრილი გია თოდუა იაშვილთან ბრძოლაში წაიქცა. სტუმრებმა კი გააპროტესტეს, თუმცა მსაჯს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, ვერ შეაცვლევინეს — იაშვილმა ამ ეპიზოდში ყვითელიც მიიღო.

პენალტი შოთა ლომიამ დაარტყა უნაკლოდ და 1:0.

მალევე იაშვილმა საჯარიმოს გარეთ ითამაშა ხელით და მეორე ყვითელი ბარათი და, ცხადია, გაძევებაც დაიმსახურა.

გიორგი გულორდავამ ეს საჯარიმო გოლად აქცია და, ფაქტობრივად, მატჩის ბედიც აქ გადაწყდა.

მასპინძლები შეტევებს აგრძელებდნენ, თუმც „სპარტაკი" თავს საიმედოდ იცავდა.

მეორე ნახევარში თამაშის სურათი დიდად არ შეცვლილა, ცხინვალელებმა რამდენიმე კონტრშეტევა განახორციელეს, ნუკრი გოგოხიას და გიორგი ხიდეშელს შეეძლოთ გატანა, მაგრამ...


კობა ჟორჟიკაშვილი

### პრესკონფერენცია

*კობა ჟორჟიკაშვილი:* მსაჯობით უკმაყოფილო ვარ, არც პენალტი იყო და არც იაშვილი იმსახურებდა გაძევებას. ისე, „მგლებმა" დღეს უკეთ ითამაშა.

*ბესიკ შეროზია:* ბიჭებმა დავალება კარგად შეასრულეს. რაც შეეხება მსაჯობას, ჩემი აზრით, განსაკუთრებული შეცდომა არ ყოფილა.

# ვინ შეაგინა კესანს?
## ზესტაფონიდან აზარგეზული გაზონელი რასიზმს ამზობს

უცნაური საქმეა: საქართველოს თასის მფლობელ „ზესტაფონის“ ნახევარმცველი პოლ კესანი სწორედ ჩვენი ქვეყნის თასის ფინალის შემდეგ გაბონში დაბრუნდა, თავის ნაკრებში რამდენიმე მატჩი ჩაატარა და... გაუჩინარდა. კესანის ასავალ-დასავალზე კარგა ხანს არაფერი ისმოდა და აგერ ახლა, როგორც გუშინდელ „სარბიელში“ ვწერდით, ისრაელის კირიათ შმონას „ჰაპოელთან“ დააპირა კონტრაქტის გაფორმება. უცნაურობა კი ესაა — გაბონელ ფეხბურთელს „ზესტაფონთან“ კონტრაქტი აკავშირებს და ისრაელში კლუბის დაუკითხავად წავიდა. რა გამოვა ამ საქმიდან, ჯერჯერობით ვერ გეტყვით, თუმცა კი ქვემორე ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ, ეგებ იფიქროთ, კიდეც, რომ კესანი მთლად კარგად და პატიოსნად ვერ იქცევა. „ზესტაფონს“ ეს გაბონელი ფეხბურთელი საქართველოს ნაკრების ყოფილი, ამჟამად კი გაბონის ნაკრების მწვრთნელის, ალენ ჟირესის ასევე ყოფილმა თანაშემწემ, გია გურულმა დააკავშირა და ამ გაურკვეველი ვითარებას თაობაზე ჩვენც სწორედ გურულმა გვითხრა, რომ...






— პოლ კესანის აგენტი არ ვარ. მთხოვეს, ამ ფეხბურთელს რომელიმე ნორმალურ უცხოურ კლუბთან დაკავშირებაში დავხმარებოდი და სულ ესაა, ჩემი და კესანის ურთიერთობა. „ზესტაფონთან“ კონტრაქტის გაფორმებაში დავეხმარე. მერე, რა და როგორ მოხდა, ვერ გეტყვით, ეს კი გავიგე — კესანს გული აცრუებია „ზესტაფონზე“...

— რატომ, არ იცით?

— უთქვამს, რომ ზესტაფონის ქუჩებში მის მიმართ რასისტული გამონათქვამები ესმოდა, თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა და ამის გამო კლუბის სახელზე განცხადებაც კი დაწერა, გამათავისუფლეთ, ამ გუნდში თამაში აღარ მსურსო. ასეთი ამბების შემდეგ თავადაც ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ვარ.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, როგორ შეიძლება, ეს საქმე დამთავრდეს?

— რა გითხრათ, ვფიქრობ, კესანს „ჰაპოელთან“ არაფერი გამოუვა და ის ან „ზესტაფონს“ დაუბრუნდება, ანაც დისკვალიფიკაციას გამოჰკრავს ხელს. ძალიან გასაკვირია კესანის საქციელი. „ზესტაფონს“ თასის მოგებისთვის პრემიალური თანხის გაგზავნა სთხოვა, რაც კლუბმა შეუსრულა კიდეც, ჩაიჯიბა ეს ფული და მას მერე აღარ გამოჩენილა. მასთან დაკავშირებას ახლა თავადაც ვცდილობ, მაგრამ ვერ ვახერხებ.

— როგორ იცით, ზესტაფონში მას მართლაც რასისტულად შეურაცხყოფდნენ?

— თავად არაფერს შევსწრებივარ, მაგრამ ვისაც კი ვესაუბრე ამ საკითხთან დაკავშირებით, ყველა გაკვირვებული დარჩა. არ ვფიქრობ, რომ „ზესტაფონიდან“ წასვლა კესანს ამის გამო მოეწადინებინა — რასიზმი, მგონი, მხოლოდ მიზეზია, რათა ის „ზესტაფონს“ დაშორდეს.

— ამასობაში კი ისრაელის ფეხბურთის ასოციაციას და „ჰაპოელს“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის კესანის ტრანსფერის გამოთხოვის თაობაზე უკვე მიუმართავთ...

— ზუსტად არც ეს ვიცი, თუმცა ფიფა-უეფას სატრანსფერო დებულებაში წერია, რომ პასუხის დაგვიანების შემთხვევაში, იმ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციას, რომელ ქვეყანაშიც ფეხბურთელი აპირებს თამაშს, საქმის გამოძიებამდე უფლება აქვს, ფეხბურთელის სახელზე დროებითი სერთიფიკატი გასცეს. მოკლედ, არა მგონია, კესანის საკითხი „ჰაპოელის“ სასარგებლოდ გადაწყდეს, თუნდაც იმიტომ, რომ ფაქტს, ზესტაფონში ფეხბურთელს რასისტული შეურაცხყოფა მიაყენესო, დამტკიცება უნდა.

*გია გურულის შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სამდივნოს საერთო განყოფილების უფროს რევაზ შენგელიას შევეხმიანეთ და ვკითხეთ, კესანის ტრანსფერზე მოთხოვნა როდის მიიღო ებრაელებისგან და თუ მიიღო, რა პასუხი გააგზავნა. შენგელიამ ყველაფერი გასაგებად გვითხრა...*

— ისრაელის ფეხბურთის ფედერაციიდან პოლ კესანის ტრანსფერის გაგზავნის თაობაზე 16 სექტემბერს მართლაც მოგვმართეს. ჩვენ ერთი თვის ვადა გვქონდა პასუხის გასაგზავნად, მაგრამ საქმე აქამდე აღარ გავაჭიანურეთ და წინა კვირას ისრაელის ფეხბურთის ასოციაციას მივწერეთ, რომ კესანს „ზესტაფონთან“ მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს.

*რევაზ შენგელიას თქმით, ამ საქმის კურსში ფიფაც არის. ერთი სიტყვით, განცხადების მიუხედავად, პოლ კესანი „ზესტაფონიდან“ არავის გაუთავისუფლებია და, შესაბამისად, მას არც სხვა კლუბთან კონტრაქტის გაფორმების უფლება აქვს.*

*...და თუ „ჰაპოელი“ და კესანი ერთმანეთთან ურთიერთობას არ შეწყვეტენ, საქმეს ფიფა გაარჩევს და ალბათ მოგებულიც „ზესტაფონი“ დარჩება...*

**კობა ინასარიძე**



# კალაძეს შევასი სჯერა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების და იტალიური „მილანის“ მცველ კახა კალაძის აზრით, ლონდონის „ჩელსიდან“ დაბრუნებული უკრაინელი ანდრეი შევჩენკო ძველებურად ათამაშდება.

„ორი წლის განმავლობაში, შევჩენკოს ფიზიკური მომზადების მხრივ პრობლემები ჰქონდა და გარდა ამისა, უთანხმოება მწვრთნელებთანაც შეექმნა. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ ადრინდელივით ველარ თამაშობს. თუმცა ის იმისთვის დაბრუნდა, რომ კვლავ სიამოვნება მიიღოს თამაშისგან. მჯერა, მალე ფიზიკურ კონდიციებსაც აღიდგენს“ — განაცხადა კალაძემ.

„ინტერთან“ 1:0 გამარჯვების თაობაზე კი ჩვენი ეროვნული გუნდის კაპიტანმა ეს თქვა: „დავამტკიცეთ, რომ იტალიის ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეგვიძლია. სეზონის სტარტზე ორი მარცხის შემდეგ ზედიზედ ოთხი თამაში მოვიგეთ. „ინტერთან“ გამარჯვება ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, დამსახურებულად მოვიგეთ“.

**კახა ზალამბერიძე**

# ქებაძის ქულა აშნას

**აშნას** „ეთნიკოსის“ მეგოლე ლევან ქებაძემ კვიპროსის ჩემპიონატში ქულა მოუტანა თავის გუნდს — ქებაძემ 89-ე წუთზე სტუმრად გაუტანა „აიანაპას“ და მატჩი 2:2 დამთავრდა.

ქებაძის გუნდს ამ სეზონში ორი მატჩიდან ოთხი ქულა აქვს.

**ილია ნანოგაშვილი**

# კვარაცხელიას ორი უსწრებს

**ბელარუსის** ჩემპიონატის 25-ე ტურში გივი კვარაცხელიას „მტზ-რიპო“ „ნაფტანთან“ 0:2 დამარცხდა.

ქართველმა ფეხბურთელმა სრულად ითამაშა.

ზედიზედ მეორე მატჩის ვერმოგებით „მტზ-რიპომ“, ფაქტობრივად, დაკარგა ჩემპიონობის შანსი და ბატე-ს შემდეგ მეორე ადგილზეა.

ერთიც: კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე მიმდინარე გამოკითხვაში, რომელმაც სექტემბრის საუკეთესო მოთამაშე უნდა გამოავლინოს, კვარაცხელიას 11,1%-ით მე-3 ადგილზეა. მას მეკარე სულიმა (24,1%) და ვიაჩესლავ გლები (13%) უსწრებენ.



**კახა ზალამბერიძე**

განახლდა საქართველოს ეროვნული ნაკრების 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ოთხი საშინაო მატჩის აბონემენტების გაყიდვა.

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო — ირლანდიის შესარჩევი მატჩი არ გაიმართა თბილისში და ეროვნული გუნდი შინ ოთხ ოფიციალურ შეხვედრას ჩაატარებს, აბონემენტების ფასები შეიცვალა: 150-ლარიანი აბონემენტი დღეიდან ეღირება 120 ლარი (დასავლეთ ტრიბუნა, III იარუსი, მე-9 სექტორი), 50-ლარიანი — 40 ლარი (დასავლეთ ტრიბუნა II იარუსი, მე-11 სექტორი) და 25-ლარიანი — 20 ლარი (ჩრდილოეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-13 სექტორი).

20 და 40-ლარიანი აბონემენტების მფლობელებს საჩუქრად გადაეცემათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლოგოთი დამშვენებული შარფი, ხოლო 120-ლარიანი აბონემენტის მფლობელებს მნიშვნელოვანი ფასდაკლებით, 50 ლარად შეუძლიათ შეიძინონ საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისური.

სამივე სახის აბონემენტების მფლობელები უფასოდ დაესწრებიან საქართველოს ეროვნული ნაკრების საშინაო ამხანაგურ მატჩებს.

იმ პირებს, რომლებმაც აბონემენტები ადრინდელ ფასში შეიძინეს, თანხის დაბრუნების მიზნით შეუძლიათ დაუკავშირდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. საკონტაქტო პირი — რევაზ შენგელია (ტელ: 91-26-60).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი 2008-09
## I ეტაპი. II მატჩები

შალკე (გერმანია) — აპოელ (კვიპროსი) (4:1)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ნორდსიელანდი (დანია) (2:0)
ვალენსია (ესპანეთი) — მარიტიმუ (პორტუგალია) (1:0)
ჰერენვენი (ჰოლანდია) — სეტუბალი (პორტუგალია) (1:1)
არტმედია (სლოვაკეთი) — ბრაგა (პორტუგალია) (0:4)
ვისლა (პოლონეთი) — ტოტენჰემი (ინგლისი) (1:2)
სტანდარდი (ბელგია) — ევერტონი (ინგლისი) (2:2)
ბენფიკა (პორტუგალია) — ნაპოლი (იტალია) (2:3)
აიაქსი (ჰოლანდია) — ბორაცი (სერბეთი) (4:1)
ტვენტე (ჰოლანდია) — რენი (საფრანგეთი) (1:2)
უდინეზე (იტალია) — დორტმუნდი (გერმანია) (2:0)
ზალცბურგი (ავსტრია) — სევილია (ესპანეთი) (0:2)
სპარტა (ჩეხეთი) — დინამო (ზაგრები, ხორვატია) (0:0)
ციურიხი (შვეიცარია) — მილანი (იტალია) (1:3)
რუსენბორგი (ნორვეგია) — ბრონდბიუ (დანია) (2:1)
კაუნასი (ლიტვა) — სამპდორია (იტალია) (0:5)
ჰონკა (ფინეთი) — რასინგი (ესპანეთი) (0:1)
პსჟ (საფრანგეთი) — ქაისერი (თურქეთი) (2:1)
ბრიუგე (ბელგია) — იანგ ბოიზი (შვეიცარია) (2:2)
გალათასარაი (თურქეთი) — ბელინცონა (შვეიცარია) (4:3)
დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი) — ნაიმეგენი (ჰოლანდია) (0:1)
პარტიზანი (სერბეთი) — ტიმიშოარა (რუმინეთი) (2:1)
მეტალისტი (უკრაინა) — ბეშიქთაში (თურქეთი) (0:1)
ლევსკი (ბულგარეთი) — ჟილინა (სლოვაკეთი) (1:1)
ლეხი (პოლონეთი) — აუსტრია (ავსტრია) (1:2)
ვასლუი (რუმინეთი) — სლავია (ჩეხეთი) (0:0)
გიმარაეში (პორტუგალია) — პორტსმუთი (ინგლისი) (0:2)
დეპორტივო (ესპანეთი) — ბრანი (ნორვეგია) (0:2)
მოზერუელი (შოტლანდია) — ნანსი (საფრანგეთი) (0:1)
მანჩესტერ სიტი (ინგლისი) — ომონია (კვიპროსი) (2:1)
კალმარი (შვედეთი) — ფეიენოორდი (ჰოლანდია) (1:0)
უნირეა (რუმინეთი) — ჰამბურგი (გერმანია) (0:0)
რაპიდი (რუმინეთი) — ვოლფსბურგი (გერმანია) (0:1)
სპარტაკი (რუსეთი) — ბანიკი (ჩეხეთი) (1:0)
სენტ-ეტიენი (საფრანგეთი) — ჰაპოელი (ისრაელი) (2:1)
შტუტგარტი (გერმანია) — ჩერნო მორე (ბულგარეთი) (2:1)
ასტონ ვილა (ინგლისი) — ლიტექსი (ბულგარეთი) (3:1)
კოპენჰაგენი (დანია) — მოსკვა (რუსეთი) (2:1)

# ჯგუფური ბრძოლა

**უეფას** თასის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის მსურველი 38 გუნდის ვინაობა დღეს გაირკვევა. ორნი — „ჰერტა“ და ცსკა — უკვე ჯგუფში არიან, რადგან სამშაბათს ითამაშეს და საწადელს მიაღწიეს. „ჰერტას“ გარდა, გერმანული კლუბებიდან ჯგუფში შეღწევის კარგი შანსი აქვს „შალკეს“, რადგან პირველ მატჩში ნიქოზიის აპოელ-ს სტუმრად 4:2 მოუგო და საეჭვოა, რომ შინ სამბურთიანი უპირატესობა გაანიავოს. „შალკემ“ ბუნდესლიგაში გასულ პარასკევს კიოლნში 0:1 წააგო.



სენტპატრიკელმა დამიენ ლნჩმა ჰერტელი სანტოსი კი წააქცია, მაგრამ მის გუნდს ვერაფერი დააკლო

იოლი მატჩი არ ელის „ვოლფსბურგს“ რუმინეთში, სადაც ბუქარესტის „რაპიდს“ შეხვდება. ვოლფსბურგელებმა სახლში 1:0 იმარჯვეს და რუმინელებს მეტოქის ძლევის არცთუ ურიგო შანსი აქვთ. გერმანიის ჩემპიონატში „მგლები“ გასულ კვირას კარლსრუეში 1:2 დამარცხდა.

„ჰამბურგსაც“ რუმინეთში მოუწევს სტუმრობა „უნირეასთან“, რომელსაც პირველ მატჩში უგოლოდ დაუზავდა. „ჰამბურგმა“ გასულ შაბათს „გლადბახს“ 1:0 მოუგო.

„დორტმუნდს“ უდინეში გაუჭირდება, რაკი ორბურთიანი სხვაობა აქვს გასაბათილებელი. უდინელებმა სერია A-ში კვალიარელას და პეპეს გოლებით „სიენა“ დაამარცხეს, ხოლო „დორტმუნდმა“ ბუნდესლიგაში „შტუტგარტს“ 3:0 სძლია. გოლები ჰაინალმა, სანტანამ და ფრაიმ გაიტანეს.

ინგლისური კლუბებიდან „ასტონ ვილას“ ჯგუფში შესვლა არ უნდა გაუჭირდეს. ბირმინგემელებმა ორი კვირის წინ ბულგარეთში „ლიტექსს“ 3:1 მოუგეს. გასულ უქმეებზე, „ვილამ“ პრემიერლიგაში „სანდერლენდს“ 2:1 აჯობა ეშლი იანგისა და კარეუს გოლებით.

„მანჩესტერ სიტიმ“ პირველ მატჩში, კვიპროსში „ომონიას“ 2:1 სძლია და დღეს ინგლისში უმასპინძლებს. სიტელებმა ჩემპიონატში „უიგანთან“ სტუმრად 1:2 წააგეს.

„პორტსმუთი“ პორტუგალიაში „გიმარაეშს“ ორბურთიანი მარაგით ესტუმრება. პორტელებმა პრემიერლიგაში „ტოტენჰემი“ დეფოსა და კრაუჩის გოლებით დაამარცხეს, ხოლო „გიმარაეშმა“ „ტროფენსეს“ სტუმრად 3:1 მოუგო.

მერსისაიდულ დერბიში „ლივერპულთან“ შინ დამარცხებული „ევერტონი“ ბელგიაში „სტანდარდს“ ეწვევა, რომელმაც ჩემპიონატში „ანდერლეხტს“ 2:1 სძლია და პირველ ადგილზეა.

„ტოტენჰემის“ მწვრთნელ ხუანდე რამოსს წყალი შეუდგა, რაკი მისი გუნდი პრემიერლიგაში ბოლო ადგილზეა. თუ დღეს „ვისლას“ ბარიერს ვერ გადალახავს და უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მიღმა დარჩება, შესაძლოა, რამოსი მოხსნან.

**ვაჟა ხუციშვილი**

# საფეხბურთო ლეგენდები

**გიორგი კაკაბაძე**

## ლეგენდა №78
## ჯორჯ ვეა



1966 წლის 1 ოქტომბერს მონროვიაში დაბადებული ჯორჯ ვეა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული აფრიკელი ფეხბურთელია. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ვეა გახლავთ შავი კონტინენტის პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი წარმომადგენელი, რომელმაც „ოქროს ბურთის“ მოპოვება შეძლო. ეს 1995 წელს მოხდა. ლიბერიელი ფიფამაც აღიარა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად და აფრიკის წლის მოთამაშედაც დაასახელეს. 1996 წელს მან ფიფას სპეციალური „ფეარ პლეი“-ს ჯილდოც მიიღო. ხოლო 2004 წლის მარტში პელემ ჯორჯ ვეა 125 საუკეთესო ცოცხალ ფეხბურთელთა სიაში შეიყვანა.

ოთხი ლიბერიული და ერთი კამერუნული კლუბის გამოცვლის მერე, 1988 წელს ვეამ ფრანგულ „მონაკოში“ ამოჰყო თავი. იგი მონაკოელთა მაშინდელმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა შეამჩნია და არც ინანა.

ვეა ტექნიკური იყო და დახვეწილი თამაშის სტილი ჰქონდა. კარგადაც ურტყამდა და პასიც არ ეშლებოდა. ერთი სიტყვით, იგი მეტოქის მცველთათვის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო და საძულველი ფიგურა გახლდათ.

„მონაკოსთან“ ერთად ვეამ საფრანგეთის თასი მოიგო, ხოლო პსჟ-ში გადასულმა — ქვეყნის ჩემპიონატიც. 1995 წელს იგი პარიზული კლუბიდან „მილანში“ გადაბარგდა და „როსონერისთან“ ერთად სამჯერ მოიპოვა სკუდეტო.

ვეამ „მილანი“ 2000 წლის იანვარში დატოვა და ცოტ-ცოტა ხანი „ჩელსისა“ და „სიტიში“გაატარა. ამას მოყვა „მარსელი“ და ბოლოს — „ალ ჯაზირა“, რომელშიც დაასრულა კიდეც სათამაშო კარიერა 2003 წელს.

ვეა ერთ-ერთია იმ დიდ ფეხბურთელებს შორის, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე არასოდეს უთამაშია. ლიბერიის ნაკრებში ჩატარებულ 60 მატჩში მას 22 გოლი აქვს გატანილი. იგი ყველანაირად ეცადა ნაკრების დახმარებას — კარგი თამაშით, დაფინანსებით, მწვრთნელობაში მონაწილეობის მიღებით, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ვეა და კომპანია ყველაზე ახლოს 2002 წლის მუნდიალზე მოხვედრასთან იყვნენ, მაგრამ მიზნამდე ერთი ქულა დააკლდათ.

კარიერის დასრულებამდეც და მას მერეც, ვეა ქველმოქმედებას ეწეოდა და გახდა პოლიტიკოსი, თან არა უბრალო. მან ლიბერიის პრეზიდენტობაზე იყარა კენჭი და მხარდამჭერთა დიდი რაოდენობავ ჰყავდა, მაგრამ მეორე ტურში მაინც დამარცხდა ელენ ჯონსონ-შირლიფთან, ვინც აფრიკაში არჩეული პირველი ქალი პრეზიდენტი შეიქნა.

რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ვეას ჰყავს ამერიკაში გაზრდილი იამაიკელი მეუღლე კლერი და ოთხი შვილი — ჯორჯ-უმცროსი, მარტა, ტიმოტი ჯორჯი და ჯესიკა.

ჯორჯ-უმცროსმა მამას მიბაძა და ფეხბურთელი გახდა, მაგრამ იგივე წარმატებას ჯერჯერობით ვერ მიაღწია. ერთხელ მან ამერიკის 20-წლამდელთა ახალგაზრდულ ნაკრებშიც კი ითამაშა, თავის ახლო მეგობარ და ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად მიჩნეულ ფრედი ადუსთან ერთად. იგი „მილანის“ ახალგაზრდულ გუნდშიც ირიცხებოდა და სინჯებზე პრაღის „სლავიაში“ მოხვდა, მაგრამ არ აიყვანეს.

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT
SLOT POKER CLUB VEGA

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. II ტური

## E ჯგუფი

**ოლბორგი 0:3 მანჩესტერი**

0:1 რუნი (22), 0:2, 0:3 ბერბატოვი (55, 79)
ოლბორგი: ზაზა, პედერსენი, ბიუზემპი (კაკა 38), ოლფერსი, რისგარდი, იოჰანსონი, აუგუსტინუსენი, კურტი, ბიოგელუნდი, საგანოვსკი, ენევოლდსენი
მწვრთნელი: ბრიუს რიოჩი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ევრა, ფერდინანდი, ვიდიჩი, ოში, ნანი, რაფაელი (ბრაუნი 66), სქოულზი (გიგზი 16), რონალდუ, ბერბატოვი, რუნი (ტევესი 59)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: იოჰანსონი, ზაზა, სილვა
მსაჯი: ოლეგარიო ბენკვერენსა (პორტუგალია)
10 346 მაყურებელი

**ვილიარეალი 1:0 სელტიკი**

1:0 სენა (67)
ვილიარეალი: ლოპესი, როდრიგესი, გოდინი, კაპდევილა, ეგურენი, პირესი (ბრუნო 83), კასორლა (კანი 90), იორენტე, ანხელი, სენა, როსი (იბაგასა 77)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
სელტიკი: ბორუცი, ნეილორი, მაკმანუსი, კოლდუელი, ბრაუნი, სამარასი, ჰართლი (ვენეგოორი 82), უილსონი, მელონი (მაკდონალდი 72), ნაკამურა (რობსონი 74), მაკგიდი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: რობსონი, ბრაუნი
მსაჯი: ვიქტორ კასაი (უნგრეთი)
21 515 მაყურებელი

## სამი გოლი და ორი ტრავმირებული
### პელეგრინის იყო და სტრაჩანის არ იყო



ბერბატოვის აკრობატული გოლი

**30-მილიონგირვანქიანმა** დიმიტარ ბერბატოვმა „ოლბორგთან“ დუბლი შეასრულა და ორივე გოლი ლამაზი იყო.

ალექს ფერგიუსონმა „ვილიარეალთან“ უგოლო ფრის შემდეგ, შემადგენლობაში ექვსი ცვლილება გააკეთა. „მანჩესტერს“ მე-16 წუთზე პოლ სქოულზი დაუშავდა — მყესები დაუზიანდა და შესაძლოა, თვენახევარი ველარ ითამაშოს.

სქოულზის ნაცვლად შესულმა რაიან გიგზმა საგოლე პასი გააკეთა. უეინ რუნი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და — 0:1.

მეორე ტაიმში კრიშტიანუ რონალდუმ მარჯვენიდან ჩააწოდა და ბერბატოვმა ჰაერშივე ლეწა ბურთს — 0:2. ამის მერე უეინ რუნიმ ტრავმა მიიღო და შეცვალეს. ფორვარდს კოჭი ეტკინა და, სავარაუდოდ, პრემიერლიგის მომდევნო მატჩს გამოტოვებს. გამორიცხული არაა, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრებში ნაკრებსაც ვერ დაეხმაროს.

ბერბატოვმა მეორე გოლისას მცველის შეცდომით ისარგებლა, რომელმაც უხეიროდ დაუბრუნა ბურთი მეკარეს და ბულგარელმა ამისთვის დასაჯა.

„ეს გოლები თავდაჯერებულობას შემატებს — თქვა ალექს ფერგიუსონმა დიმიტარ ბერბატოვზე — თავდამსხმელს, რომელშიც ამდენი ფული გადაიხადეს, ცხადია, სურს, რომ ახალ გუნდში რაც შეიძლება მალე გაიტანოს“.

„სელტიკმა“ ტრადიცია არ დაარღვია — სტუმრად ცუდად ითამაშა და ჩემპიონთა ლიგაში გასვლით მატჩებში მოუგებელი სერია 18-მდე გაზარდა.

ამავე ტურნირში „ვილიარეალმა“ შინ წაუგებელ შეხვედრათა რიცხვი რვამდე გაზარდა.

„ყვითლებმა“ მარკოს სენას საუცხოოდ შესრულებული საჯარიმო დარტყმით მოიგეს. ბურთმა „ცოცხალ კედელს“ გადაუფრინა და მეკარისგან მარჯვენა კუთხეში ჩაეშვა.

„სელტიკის“ მწვრთნელმა გორდონ სტრაჩანმა განაცხადა, რომ მათ წინააღმდეგ ჯარიმა არ უნდა დანიშნულიყო. მისი აზრით, იორენტემ ითაღლითა და მსაჯმა ვერ შეამჩნია.

მასპინძელთა თავკაცი მანუელ პელეგრინი: „არ ვიცი, იყო თუ არა ჯარიმა, რადგან არ დამინახავს, მაგრამ თუ მსაჯმა დანიშნა, გამოდის, რომ იყო“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| ვილიარეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| სელტიკი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ოლბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |


კლინსმანმა გათანაბრების სიხარული ასეთ ნახტომში გამოხატა

## ნუ უსტვენთ!

## F ჯგუფი

**ბაიერნი 1:1 ლიონი**

0:1 დემიკელისი (25ა.გ.), 1:1 ზე რობერტუ (52)
ბაიერნი: რენზინგი, ლუსიუ, დემიკელისი, ბრენო, ლამი, ოდო, ზე რობერტუ, რიბერი (ბოროვსკი 82), შვაინშტაიგერი, ტონი, კლოზე,
მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი
ლიონი: ლორისი, კრისი, მენსა, რევეილერი, მაკუნი, ტულალანი, ბოდმერი, ჟუნინიო (ბუმსონგი 87), ფრედი (მუნიე 75), ბენზემა, გოვუ (ედერსონი 36)
მწვრთნელი: კლოდ პიუელი
გაფრთხილება: დემიკელისი, კლოზე, მენსა, ჟუნინიო, მაკუნი, კრისი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
64 000 მაყურებელი

**ფიორენტინა 0:0 სტიაუა**

ფიორენტინა: ფრეი, დაინელი, გამბერინი, ვარგასი, ფელიპე, მონტოლივო (პაცინი 81), იორგენსენი (ძაური 46), სანტანა, ალმირონი (კუზმანოვიჩი 74), მუტუ, ჯილარდინო
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
სტიაუა: საპატა, ოგარარუ, გოიანი, რადოი, სემედუ (კაპეტანოსი 90), მორენო (გომეში 87), ნიკოლიცე, მარინი, ლოვინი, გონია, სტანკუ (სეკუ 77)
მწვრთნელი: მარიუს ლეკეტუში
გაფრთხილება: მარინი, სტანკუ
მსაჯი: მაიკლ რაილი (ინგლისი)
25 383 მაყურებელი

**„ფიორენტინას“** მწვრთნელი ჩეზარე პრანდელი ქომაგებზე გაბრაზდა, რომლებმაც გუნდს უგოლო და უგულო ფეხბურთის გამო უსტვინეს.

„მართალია, გაგვიჭირდა, მაგრამ მთავარია, რომ კარი მშრალად შევინახეთ — თქვა პრანდელიმ — გუნდმა მებრძოლი სული გამოავლინა და როცა ამას ვხედავ, დარწმუნებული ვარ, მალე უკეთესად ვითამაშებთ.

„სტიაუა“ დაცვაში კარგად იდგა და ასეთ მეტოქესთან მომენტების შექმნა და გატანა ძნელია. გრძელი პასებითაც ვცადეთ, მაგრამ არ გამოგვივიდა.

ბოლო 15 წუთში გავრისკეთ კიდეც, თუმც მაინც ვფიქრობ, რომ ფრე ლოგიკურია.

რვა წელიწადში ჩემპიონთა ლიგის პირველი საშინაო მატჩი ვითამაშეთ და იმის ნაცვლად, რომ ტაში დაეკრათ, გვისტვინეს, რაც არასწორია. სამი წლის განმავლობაში დიდი შრომა გავწიეთ ლიგაში მოსახვედრად და ქომაგებმა ეს უნდა გაიგონ“.

„სტიუაუს“ თავკაცი მარიუს ლეკეტუში: „ბოლომდე ვცდილობდით მატჩის მოგებას. გული მწყდება გამოუყენებელი მომენტების გამო, მაგრამ ვაჩვენეთ, რომ უმაღლესი დონის კლუბებთან ჩემპიონთა ლიგაში ტოლსწორად თამაში შეგვიძლია. ჩემი აზრით, მერვედფინალში გასვლის შანსი კვლავ გვაქვს და საამისოდ ვიბრძოლებთ“.

ბოლო ოთხ მატჩში „ბაიერნმა“ მხოლოდ ერთი მოიგო — თასზე „ნიურნბერგთან“. ბუნდესლიგაში ორჯერ დამარცხდა და ახლა შინ „ლიონსაც“ ვერ სძლია. იურგენ კლინსმანის გუნდს ფრანგებთან ქულა გაუხდა გადასარჩენი, რადგან მარტინ დემიკელისმა ჟუნინიოს დარტყმულს თავი ისე წაჰკრა, რომ საკუთარ კარში გაიტანა. ზე რობერტუმ მეორე ტაიმში გაათანაბრა და „ბაიერნი“ ზედიზედ მეორე მარცხისგან იხსნა.

იურგენ კლინსმანი: „გამარჯვება მერჩივნა, მაგრამ ვერ შევძელით, თუმც გუნდის მონდომებით მაინც კმაყოფილი ვარ. ახლა ჩემპიონატზე უნდა გადავერთოთ და შაბათისთვის „ბოხუმთან“ მოსაგებად მოვემზადოთ. მარტინ დემიკელისს პირველ ტაიმში არ გაუმართლა, მაგრამ მთლიანობაში მან გულიანად იშრომა და ლომივით იბრძოლა“.

„ლიონის“ მწვრთნელი კლოდ პიუელი: „სამწუხაროა, რომ მეტოქეს გავათანაბრებინეთ და მხოლოდ ქულა შეგვრჩა. „ბაიერნმა“ მეორე ტაიმში უკეთ ითამაშა, ჩემს ფეხბურთელებს კი დაღლა დაეტყოთ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ლიონი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ფიორენტინა | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| სტიაუა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. II ტური



# სიზმარა სიომინი

## G ჯგუფი

**არსენალი 4:0 პორტუ**

**1:0 ვან პერსი (31), 2:0 ადებაიორი (40), 3:0 ვან პერსი (48), 4:0 ადებაიორი (71)**
**არსენალი: ალმუნია, სანია, ტურე, გალასი, კლიში, ფაბრეგასი, ნასრი (ებუე 65), უოლკოტი (ველა 72), დენილსონი, ვან პერსი (ბენდტნერი 65), ადებაიორი**
**მწვრთნელი: არსენ ვენგერი**
**პორტუ: ელტონი, ალვეში, ბენიტესი, გუარინი, როდრიგესი (კანდეიასი 79), როლანდო, მეირელეში (პულკი 64), კოშტა, სეპუნარუ, ფერნანდუ (ლუჩო გონსალესი 46), ლისანდრო**
**მწვრთნელი: ჟესუალდუ ფერეირა**
**გაფრთხილება: კლიში, კოშტა**
**მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)**
**59 623 მაყურებელი**

**ფენერბაჰჩე 0:0 დინამო**

**ფენერბაჰჩე: ვოლკანი, ლუგანო, რობერტო კარლოსი, ედუ, ემრე (ბორალი 85), ქაზიმი, ალექსი (ილმაზი 77), გუისა, საჰინი, მალდონადო, გიონული**
**მწვრთნელი: ლუის არაგონესი**
**დინამო: ბოგუში, ბეტაო, გიოანე, ვუკოიევიჩი, ალიევი (ასათიანი 89), ბანგურა (შაცკიხი 46), ერიომენკო, დიაკატე, მიხალიკი, ქადური (ნესმაჩნი 62), ნინკოვიჩი**
**მწვრთნელი: იური სიომინი**
**გაფრთხილება: რობერტო კარლოსი, ქაზიმი, საჰინი, ქადური, ალიევი, ბოგუში**
**მსაჯი: თომას აინვალერი (ავსტრია)**
**35 112 მაყურებელი**

**„ჰალთან"** წაგება „არსენალისთვის" მწარე გამოდგა და „მეთოფეებმა" ცხელ გულზე „პორტუ" გაანადგურეს. პორტუელებს ინგლისში აქამდე არასოდეს მოეგოთ და ამჯერადაც ხელცარიელნი გაბრუნდნენ.

ვან პერსიმ ადებაიორის პასით ახლოდან გაიტანა, ადებაიორმა კი კუთხურიდან ჩაწოდებულს თავი დაუხვედრა — ბურთი მიწაზე დაეცა და კარში შევარდა. ეს მოხდა ცხრაწუთიან მონაკვეთში და „პორტუ" გამთანაბრებელს არ ჰგავდა.

მეორე ტაიმში ვან პერსიმ ცაციით შორ კუთხეში შეასრიალა, ხოლო ადებაიორმა ბენდტნერის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა.

ბოლო 11 წელიწადში „პორტუ" ჩემპიონთა ლიგაში ოთხბურთიანი სხვაობით პირველად დამარცხდა.

„სწორედ ასეთი შედეგი მსურდა — თქვა არსენ ვენგერმა — გოლი არ გავუშვით და ოთხი გავიტანეთ. მეტის გატანაც შეგვეძლო, მაგრამ მთავარია, რომ „ჰალთან" წაგების მერე გუნდი გონს მოვიდა. ეს ნახევარი საქმეა, მეორე ნახევარს კი შაბათს „სანდერლენდთან" ველი. იქაც ასე უნდა ვითამაშოთ და აუცილებლად მოვიგებთ".

„პორტუს" მწვრთნელი ჟესუალდუ ფერეირა: „პირველი რომ გავუშვით, მაშინ გვქონდა გატანის ორი შანსი, მერე კი უკვე ველარაფერი შევქმენით. მარცხის მიუხედავად, მეორე ადგილზე ვართ და ეს ცოტათი მაინც მამშვიდებს".

კიევის „დინამოსთან" ფრის შემდეგ, „ფენერბაჰჩეს" თავკაცმა ლუის არაგონესმა თქვა: „პირველ ტაიმში ცუდად ვითამაშეთ, მეორეში კი უკეთესად და არაერთი მომენტი გვქონდა. შემტევი ფეხბურთი გავაჩაღეთ, მაგრამ ვერ გავიტანეთ. მოსაგებად, ზოგჯერ, იღბალიც საჭიროა. შედეგით უკმაყოფილო ვარ, რადგან ყველამ ნახა, რომ გამარჯვებას ვიმსახურებდით. ფეხბურთელობისას და მწვრთნელობისას, მსგავსი რამ არაერთხელ მინახავს. კიეველები მთელი მატჩის განმავლობაში დაცვაში იდგნენ და გატანა ძნელი იყო, მაგრამ მჯერა, რომ ჩემი გუნდი მოუმატებს".

იური სიომინი: „შესვენებამდე ძალიან ნელა ვმოძრაობდით და ამის გამო ტაქტიკაში კორექტივები შევიტანე. ბოლო 20 წუთში ბიჭებს დაღლა დაეტყოთ, რადგან ორი კვირის განმავლობაში ბევრი მატჩი ვითამაშეთ და მგზავრობამაც დაგვღალა. ვფიქრობ, რომ სტამბოლში ორი ქულა კი არ დავკარგეთ, არამედ ერთი მოვიპოვეთ. მერვედფინალში გასვლა გვსურს და ყოველი ქულა ჩვენთვის ძვირფასია. „ფენერბაჰჩესთან" მატჩი მესიზმრა და სწორედ ასეთი მძიმე და რთული იყო ჩემი სიზმარიც".

**რომან თურქია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 |
| პორტუ | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| დინამო | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ფენერბაჰჩე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

# როდიონოვიდან დელ პიერომდე

## H ჯგუფი

**ზენიტი 1:2 რეალი**

**0:1 ჰუბოჩანი (4ს.კ.), 1:1 დანი (25), 1:2 ვან ნისტელროი (31)**
**ზენიტი: მალაფეევი, შირლი, ჰუბოჩანი (დომინგესი 73), ანიუკოვი, ზირიანოვი, დანი, დენისოვი, პიუიგრენიე (თეკე 73), ტიმოშჩუკი, არშავინი, პოგრებნიაკი**
**მწვრთნელი: დიკ ადვოკატი**
**რეალი: კასილიასი, პეპე, რამოსი, კანავარო, ჰაინცე, დიარა, რობენი (დრენტე 82), დე ლა რედი, ვან დერ ვაარტი (გარსია 62), ვან ნისტელროი, იგუაინი (სავიოლა 88)**
**მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი**
**გაფრთხილება: არშავინი, ტიმოშჩუკი, ჰუბოჩანი, ვან ნისტელროი**
**მსაჯი: მასიმო ბუზაკა (შვეიცარია)**
**21 075 მაყურებელი**

**ბატე 2:2 იუვენტუსი**

**1:0 კრივეცი (17), 2:0 სტასევიჩი (23), 2:1, 2:2 იაკვინტა (29, 45)**
**ბატე: ვერემკო, ლიხტაროვიჩი (სივაკოვი 70), სოსნოვსკი, ვოლოდკო, კრივეცი, ნეხაიჩიკი (მირჩევი 87), როდიონოვი (პეხა 90), სტასევიჩი, კაზანცევი, რჟევსკი, იურევიჩი**
**მწვრთნელი: ვიქტორ გონჩარენკო**
**იუვენტუსი: მანინგერი, კიელინი, გრიგერა, ლეგროტალიე (კნეჟევიჩი 18), დე ჩელიე, ნედვედი, კამორანეზი (მარკიზიო 46), ჯოვინკო, სისოკო, იაკვინტა (ამაური 81), დელ პიერო**
**მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი**
**გაფრთხილება: ნეხაიჩიკი, კაზანცევი, ვოლოდკო, გრიგერა, სისოკო, მარკიზიო**
**მსაჯი: მარტინ ეტკინსონი (ინგლისი)**
**31 400 მაყურებელი**

**ჩემპიონთა** ლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელს, 31 წლის ვიქტორ გონჩარენკოს ბატე-მ მრავალნაცადი „იუვენტუსი" კინაღამ ბეჭებზე გააკრა. ლიგაში პირველად მოთამაშე გუნდმა ისტორია დაწერა — მთავარ ევროტურნირში პირველი ქულა მიითვალა.

მასპინძელთა ნახევარმცველის დმიტრი ლიხტაროვიჩის აზრით, მისმა გუნდმა ქულა კი არ მოიპოვა, არამედ ორი დაკარგა: „მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს კლუბთან ღირსეულად ვითამაშეთ და რაკი ორბურთიანი სხვაობა ვერ შევინარჩუნეთ, გამოდის, რომ ორი ქულა დავკარგეთ. ჯგუფის დარჩენილ მატჩებში გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ".

ვიქტორ გონჩარენკო: „თუ ტურნირსა და მეტოქის სახელს გავითვალისწინებთ, ამ გუნდით და შედეგით უნდა ვიამაყოთ. მაგრამ უკმაყოფილების გრძნობა მაინც დამრჩა, რადგან 2:0-ს ვიგებდით და გამარჯვება შეგვეძლო. ერთხელ კიდევ დავამტკიცეთ, რომ ფეხბურთში შეუძლებელი არაფერია.

ბატე-ს ორბურთიანი სხვაობის შესანარჩუნებლად გამოცდილება დააკლდა. და კიდევ — აქაური პრესა მხოლოდ „იუვეზე" წერდა და ბატე თითქოს არც არავის აინტერესებდა. ჩვენ დავიზეპირეთ დელ პიეროს და ნედვედის ბიოგრაფიები, მაგრამ არავის აინტერესებს ჩემი გუნდის ფეხბურთელები. რამე ვიცით როდიონოვზე, სტასევიჩზე ან ხაგუშზე? საწყენია, რომ ეს ბიჭები მედიაში არავის აინტერესებს".

კლაუდიო რანიერი: „მეტოქემ პირველ ტაიმში სისწრაფით აშკარად დაგვჩაგრა, მაგრამ „იუვემ" ორი გოლის გაქვითვა მოახერხა და ქულითაც კმაყოფილი ვარ".

უეფას და ევროპის სუპერთასის მფლობელმა „ზენიტმა" ჯგუფში მეორე მატჩიც წააგო და პაველ პოგრებნიაკს მიაჩნია, რომ გუნდს მერვედფინალში გასვლის შანსი თითქმის აღარ დარჩა: „შეტევაში ძალიან გაგვიჭირდა, რადგან მეტოქემ კლასით გვაჯობა და საჯარიმოში არ შეგვიშვა. ორი მარცხის შემდეგ ჯგუფიდან გასვლა ძალიან ძნელი იქნება".

ბერნდ შუსტერი: „მოედნის საფარი იდეალური არ იყო და ზუსტი პასები არ გამოგვდიოდა, მაგრამ ახლა ეს ნაკლებად მაღელვებს, რადგან სამი ქულა ავიღეთ".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| იუვენტუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ბატე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ზენიტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |



ტურინელ ჯოვინკოს (მარჯვნივ) მუდმივად ორ-სამი ბელარუსი დარაჯობდა

## ძოლამ ტრისტანი გაიხსენა

**ლა კორუნიის** „დეპორტივოსა“ და ესპანეთის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი დიეგო ტრისტანი, შესაძლოა, ლონდონის „ვესტ ჰემში“ ჩაირიცხოს. 32 წლის ფეხბურთელი „ჩაქუჩებმა“ „აპტონ პარკზე“ სამედიცინო შემოწმებისთვის მიიწვიეს. ტრისტანს ზაფხულში იტალიურ „ლივორნოსთან“ კონტრაქტის ვადა ამოეწურა და ამჟამად თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს. „ვესტ ჰემის“ იტალიელი დამრიგებელი ჯანფრანკო ძოლა იმედოვნებს, რომ ესპანელი ფორვარდი კლუბში დინ ეშტონს შეცვლის, რომელიც წლის ბოლომდე მწყობრიდან გამოვიდა.

## ფორჩუნი და მუსამპა შეფილდში

ინგლისურ „შეფილდ იუნაიტედში“ სამხრეთაფრიკელი კვინტინ ფორჩუნი და კონგოელი კიკი მუსამპა ვარჯიშობენ. კლუბის სამწვრთნელო შტაბის განცხადებით, ამ ფეხბურთელების საბოლოო ბედი უახლოეს მომავალში გადაწყდება. თავის დროზე, ფორჩუნი „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ბოლტონში“ გამოდიოდა, ხოლო მუსამპა „აიაქსის“, „ატლეტიკოსა“ და „მანჩესტერ სიტის“ ღირსებას იცავდა.

## კრიშტიანუ რონალდუს ორი-სამი კვირა სჭირდება

**კრიშტიანუ რონალდუს** ჩვეულ ფორმაში ჩადგომისთვის კიდევ ორი-სამი კვირა დაჭირდება. „ასი პროცენტით ათამაშებას დაახლოებით ორ-სამ კვირაში შევძლებ. თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. მართალია, კოჭი ბოლომდე არ მომირჩენია და ხანდახან თავს მახსენებს, მაგრამ, ექიმების თქმით, ეს სრულებით ჩვეულებრივი მოვლენაა და ამიტომ მომავალს იმედიანად ვუყურებ“ — თქვა პორტუგალიელმა ვარსკვლავმა. შეგახსენებთ, რომ კრიშტიანუს კოჭის ტრავმის გამო სეზონის დასაწყისი გაუცდა.

## სქოულზი დაშავდა

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** ნახევარმცველი პოლ სქოულზი მუხლის ტრავმის გამო 6-8 კვირას გააცდენს. ინგლისელი „ოლბორგთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩის მე-15 წუთზე დაშავდა და მის ნაცვლად მოედანზე რაიან გიგზი შევიდა.

„სქოულზს მუხლქვეშა მყესები დაუზიანდა. ახლა კონკრეტულ ვადებზე საუბარი რთულია, თუმც, როგორც ჩანს, თამაშგარეში 6-დან 8 კვირამდე მოუწევს ყოფნა“ — ბრძანა მანკუნიანელთა შოტლანდიელმა თავკაცმა ალექს ჭფერგიუსონმა.

## უეფას თასის კენჭისყრა 7 ოქტომბერსაა

**უეფას თასის** ჯგუფური ტურნირის კენჭისყრა შვეიცარიულ ნიონში, 7 ოქტომბერს, ადგილობრივი დროით 12 საათზე გაიმართება. ამ ეტაპის 40 მონაწილე კლუბი თავიანთი კოეფიციენტების შესაბამისად 5 კალათაში გადანაწილდება. კენჭისყრის შედეგად კი კლუბები 8 ხუთგუნდიან ჯგუფს შექმნიან.

## მაკაბის ფეხბურთელი ვამპირი აღმოჩნდა

ფეთაჰ თიქვის „მაკაბის“ ვარჯიშზე უცნაური ფაქტი დაფიქსირდა. ისრაელის კლუბის ფეხბურთელმა ლიორ ასულინმა თანაგუნდელი გოლკიპერი დუდი ხანანიშვილი დაკბინა. ასულინი მეკარეს ორი გაშვებული გოლის გამო გაუბრაზდა და შეხლა-შემოხლის დროს ხანანიშვილს პირდაპირ კისერზე უკბინა. მართალია, მოგვიანებით ასულინმა დაკბენილ პარტნიორს ბოდიში მოუხადა, მაგრამ მაინც მსხვილი ჯარიმის გადახდა მოუწევს.

## ჩელსის 12 წლის ვუნდერკინდი

**ლონდონის** „ჩელსიმ“ 12 წლის ფრანგ ფეხბურთელ ჟერემი ბოგთან ხელშეკრულება დადო, რომლის მიხედვით ვუნდერკინდი „სტემფორდ ბრიჯზე“ გადასვლას 16 წლის შესრულების შემდეგ შეძლებს.

„ბოგმა „ჩელსის“ ყურადღება თავისი უზარმაზარი ნიჭითა და პოტენციალის მიიპყრო. უახლოეს მომავალში იგი უმაღლეს დონეზე გამოსვლასაც შეძლებს. ჟერემისთან კონტრაქტის გაფორმებაში დიდი წვლილი შეიტანა მამამისმა, რომელიც ამჟამად ლონდონში მუშაობს“ — განაცხადა „არისტოკრატთა“ სკაუტმა გაი ჰილიონმა.

## ბრაუნმა კაჭკაჭები უარყო

**„ჰალ სიტის“** მთავარმა მწვრთნელმა ფილ ბრაუნმა განაცხადა, რომ კლუბის დატოვებას არ აპირებს. ინგლისური პრესა ამ ბოლო დროს მას „ნიუკასლის“ მთავარმწვრთნელობის კანდიდატებში მოიხსენიებდა.

„ძალიან მესიამოვნა, რომ ჩემს სახელს ასეთ დიდ კლუბს უკავშირებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ სწორ გზაზე ვდგავარ, მაგრამ სამართლიანი ადამიანი ვარ და საკუთარ თავზე აღებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. მე ისიც მეამაყება, რომ ოდესლაც „ჰალის“ მწვრთნელობა შემომთავაზეს. ამ გუნდთან ერთად კიდევ ბევრი რამის გაკეთება მოგვიწევს, ამიტომ ჩემს უახლოეს მომავალს მხოლოდ „ჰალ სიტის“ ვუკავშირებ“ — თქვა „ვეფხვების“ დამრიგებელმა.

**არჩილ ძოგახიძე**

# მიკი მაუსი ამერიკიდან ჩამოფრინდა



კევინ კიგანი

**„ნიუკასლ იუნაიტედის“** გასაჭირის ყოველდღიურმა ცქერამ, საფეხბურთო მსოფლიო „გამოაკაჭკაჭა“ — ამ გუნდიდან ხან მწვრთნელი გარბის, ხანაც, ლამისაა, მეპატრონე... ბოლო ამბავი კი კიდევ უფრო საინტერესოა: გაქცეულმა მწვრთნელმა კევინ კიგანმა განაცხადა, რომ თუ მაიკ ეშლისგან კლუბს ბოლო ხანს გააქტიურებული, სამხრეთაფრიკული კონსორციუმი იყიდის, ის დაბრუნდება.

ცნობისთვის: სამხრეთაფრიკულმა კონსორციუმმა „კაჭკაჭთა“ ყიდვის სურვილი უკვე ოფიციალური განცხადების სადაც ჯერ არს შეტანით დაადასტურა — ბრიტანული ფესვების მქონე ეს ბიზნესორგანიზაცია, ეშლის 280 მილიონ გირვანქას სთავაზობს.

საინტერესოა, რომ კიგანი ამერიკის შეერთებულ შტატებში ისვენებდა, როდესაც აფრიკელთა ამბავი შეიტყო და თავქუდმოგლეჯილი გავარდა სამშობლოში. რად უნდა ლაპარაკი, რომ მის დაბრუნებას „ნიუკსლ იუნაიტედის“ ფანები დიდი იმედით შეხვდნენ — ოდინდელი ვარსკვლავი (1978 და 1979 წლების ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი) ხომ მათი უსაყვარლესი ფიგურაა.

| 19:00 | 1112 | შამბერი(საფრ)-ცელიე(სლოვ) | 1.60 | 8.50 | 2.50 | 1.34 | 1.00 | 1.93 |
| 19:00 | 1113 | შამბერი(საფრ)-ცელიე(სლოვ) 57,5 | 1.70 | 1.80 | | | | |
| 19:00 | 1114 | შამბერი(-1.5)-ცელიე(1.5) | 1.90 | 1.70 | | | | |
| 19:00 | 1115 | შამბერი-ცელიე(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 19:15 | 1116 | ვესპრემი(უნგრ)-ფლენსბურგი(გერ) | 1.60 | 9.50 | 2.50 | 1.36 | 1.00 | 1.97 |
| 19:15 | 1117 | ვესპრემი-ფლენსბურგი(ბურ) 57,5 | 1.70 | 1.70 | | | | |
| 19:15 | 1118 | ვესპრემი(-1.5)-ფლენსბურგი(1.5) | 1.80 | 1.70 | | | | |
| 19:15 | 1119 | ვესპრემი-ფლენსბურგი(წყვილი/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 20:00 | 1120 | ადემარი(ესპ)-მონპელიე(საფრ) | 1.15 | 11.00 | 6.50 | 1.04 | 1.00 | 4.08 |
| 20:00 | 1121 | ადემარი-მონპელიე(ბურ) 62,5 | 1.70 | 1.70 | | | | |
| 20:00 | 1122 | ადემარი(-5.5)-მონპელიე(5.5) | 1.70 | 1.70 | | | | |
| 20:00 | 1123 | ადემარი-მონპელიე(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 21:00 | 1136 | ვისლა(პოლ)-სეგედი(უნგ) | 3.50 | 10.00 | 1.35 | 2.59 | 1.00 | 1.18 |
| 21:00 | 1137 | ვისლა-სეგედი(ბურ) 53,5 | 1.60 | 1.80 | | | | |
| 21:00 | 1138 | ვისლა(3.5)-სეგედი(-3.5) | 1.70 | 1.70 | | | | |
| 21:00 | 1139 | ვისლა-სეგედი(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 20:00 | 1140 | პაუკარი(ისლ)-ზაპოროჟიე(უკრ) | 1.90 | 9.00 | 2.10 | 1.56 | 1.00 | 1.70 |
| 20:00 | 1141 | პაუკარი-ზაპოროჟიე(ბურ) 56,5 | 1.70 | 1.70 | | | | |
| 20:00 | 1142 | პაუკარი(-1.5)-ზაპოროჟიე(1.5) | 2.00 | 1.60 | | | | |
| 20:00 | 1143 | პაუკარი-ზაპოროჟიე(წყვ/კენტი) | 1.80 | 1.80 | | | | |
| | | ხელბურთი. კაცები ავსტრიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 1153 | შვარცი-კრემსი | 2.70 | 8.00 | 1.60 | 2.01 | 1.00 | 1.33 |
| 21:00 | 1154 | ტულნი-გენსენდორფი | 1.25 | 10.00 | 4.40 | 1.11 | 1.00 | 3.05 |
| 21:30 | 1155 | ფივერსი-ალპლა | 1.70 | 8.00 | 2.45 | 1.40 | 1.00 | 1.87 |
| 22:15 | 1156 | ლეობენი-ლინცი | 1.80 | 9.00 | 2.20 | 1.50 | 1.00 | 1.76 |
| | | ხელბურთი. კაცები გერმანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 3 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:30 | 1035 | ბალინგენი-ვეტცლარი | 1.55 | 7.00 | 2.85 | 1.26 | 1.00 | 2.02 |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 1157 | ლემგო-მაგდებურგი | 1.30 | 10.00 | 3.90 | 1.15 | 1.00 | 2.80 |
| 17:00 | 1158 | ნორდჰორნი-ესენი | 1.05 | 15.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 6.00 |
| 17:00 | 1159 | მინდენი-შტრალსუნდენი | 1.25 | 11.00 | 4.30 | 1.12 | 1.00 | 3.09 |
| 21:00 | 1160 | გუმერსბახი-მელსუნგენი | 1.15 | 10.00 | 6.20 | 1.03 | 1.00 | 3.82 |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:45 | 1038 | კილი-ჰამბურგი | 1.25 | 9.00 | 4.70 | 1.09 | 1.00 | 3.08 |
| 19:00 | 1041 | ფიუხსე-გროსვალშტადტი | 1.80 | 8.40 | 2.25 | 1.48 | 1.00 | 1.77 |
| | | ხელბურთი. კაცები ესპანეთის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 1161 | ვალიადოლიდი-ალმერია | 1.05 | 12.00 | 11.00 | 1.00 | 1.00 | 5.73 |
| | | ხელბურთი. კაცები დანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 3 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:30 | 1050 | აიაქსი-ვიბორგი | 6.25 | 11.00 | 1.15 | 3.98 | 1.00 | 1.04 |
| 21:30 | 1053 | ჰოლსტებრო-მორსი | 1.15 | 12.00 | 6.00 | 1.04 | 1.00 | 4.00 |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 1056 | ორჰუსი-აას | 2.20 | 8.00 | 1.85 | 1.72 | 1.00 | 1.50 |
| 18:10 | 1059 | ნორდსიელანდი-ბიერინგბრო | 5.60 | 9.00 | 1.20 | 3.45 | 1.00 | 1.05 |
| | | ხელბურთი. კაცები ჩემპ ლიგა(რომ ტაიმში მეტი გოლი) | | | | | | |
| | | 2 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:30 | 1200 | ჰამბურგი-ტატრანი | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 21:30 | 1201 | კილი-მეტალურგი | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 22:30 | 1202 | პორტლანდი-სტიაუა | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| | | 4 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 1203 | ჰამარბი-გრანიტასი | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 18:00 | 1204 | დრამენი-ბარსელონა | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 19:45 | 1205 | კოპერი-ჩეხოვსკიე მედვედი | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 19:45 | 1206 | კროაცია-ლიოვენი | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| | | 5 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:30 | 1207 | ამიციტია-ბრეგენცი | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 17:50 | 1208 | ხვენდბორგი-სიუდად რეალი | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 19:00 | 1209 | შამბერი-ცელიე | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 19:15 | 1210 | ვესპრემი-ფლენსბურგი | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 20:00 | 1211 | ადემარია-მონპელიე | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 21:00 | 1212 | ვისლა-სეგედი | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |
| 20:00 | 1213 | პაუკარი-ზაპოროჟიე | 2.30 | 10.00 | 1.70 | | | |



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ელოდეთ სიურპრიზებს! გოგონები, პრიზები... ეგებ მაყურებელიც მოვიდეს



სულ რამდენიმე დღეში შიდა, ქართული საკალათბურთო სეზონიც დაიწყება. უკვე გარკვეულია, რომ მას დუდუ დადიანის მემორიალი გახსნის 7-10 ოქტომბერს, რასაც ძალიან მალე საკალათბურთო ჩემპიონატის, სუპერლიგის 2008-2009 წლების სეზონის გათამაშება მოჰყვება.

ნელ-ნელა ახლოვდება ახალი სეზონის სტარტი და ჩვენც გადავწყვიტეთ, სუპერლიგის დირექტორის, გიორგი ზაბახიძისგან შეგვეტყო ბოლო ამბები

**— როგორც ვიცით, ახალი სეზონი დუდუ დადიანის მემორიალით იხსნება...**

— დიახ, ეს შეჯიბრება 7-10 ოქტომბერს ჩატარდება და ვერის ბაღში მიხეილ კეკელიძის სახელობის დარბაზი უმასპინძლებს.

**— თუ არის გარკვეული, ყველა იმ გუნდის ვინაობა, რომელიც მასში მიიღებს მონაწილეობას?**

— განაცხადების მიღების ბოლო ვადა ხვალაა, აქედან გამომდინარე, ჯერ დანამდვილებით ვერ გეტყვით, რამდენი და რომელი გუნდი მიიღებს დადიანის მემორიალში მონაწილეობას. ახლა შემიძლია დაგისახელოთ, მხოლოდ ის გუნდები, რომლებმაც განაცხადი უკვე შემოიტანეს. ესენი არიან: „თბილავიამშენი", „ენერჯი-ინვესტი", „დინამო", თსუ, საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის გუნდი. თუმც არ გამოვრიცხავ, ამ ორ დღეში განაცხადი კიდევ შეივსოს.

**— ამ სიაში არ ჩანს „მაკაბი" და ნტდ...**

— ჯერჯერობით ამ ორ გუნდს განაცხადი არ შემოუტანია და, აქედან გამომდინარე, მათზე ვერაფერს გეტყვით. ყველაფერი ოფიციალურად უახლოეს ორ დღეში გაირკვევა, საბოლოოდ სწორედ მაშინ შეგვეძლება ყველაფერზე ლაპარაკი.

**— სუპერლიგა 19 ოქტომბერს უნდა დაიწყოს. რაიმე ხომ არ შეცვლილა ამ მხრივ?**

— სუპერლიგა ნამდვილად 19 ოქტომბერს დაიწყება. ამ მხრივ, რაიმე სიახლე არ არის.

**— თუ არის გარკვეული ის დღეები, როდესაც თამაშები გაიმართება?**

— მას შემდეგ, რაც ოფიციალურად დასრულდება განაცხადების მიღება, ანუ ხვალ, კალათბურთის ფედერაციაში გაიმართება სხდომა, რომელზეც უკვე ასეთი დეტალები გაირკვევა. სწორედ მაშინ შედგება სუპელიგის 2008-2009 წლების სეზონის კალენდარი.

**— შარშანდელ ჩემპიონატში გამოჩნდნენ მხარდამჭერი გოგონები, რომლებიც მატჩის მსვლელობისას ამხნევებდნენ კალათბურთელებს. წელს ისევ იქნებიან?**

— მხარდამჭერ გოგონათა გუნდი წელსაც გაამხნევებს კალათბურთელებს.

**— რაიმე სიახლეები თუ იქნება, გასულ სეზონთან შედარებით?**

— მოდით, ამას სიურპრიზად შევინახავ. ისე კი გეტყვით, რომ სიახლეები აუცილებლად იქნება, რასაც სულ მალე ამას ყველა საკუთარი თვალით იხილავს.

**— გასულ სეზონში თამაშებს ნამდვილად არ ესწრებოდა ბევრი მაყურებელი. როგორ ფიქრობთ, წლეულს მათი რიცხვი გაიზრდება?**

— წინა სეზონი როცა იწყებოდა, მაყურებელი ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა, რომ სპორტის სასახლეში ასეთი საინტერესო რამ ხდებოდა. ბევრ ადამიანს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა მხარდამჭერი გოგონების არსებობაზე. ასევე სხვადასხვა წამახალისებელ გათამაშებაზე, არც ის ეგონათ, რომ ასეთი დაძაბული თამაშები გამოვიდოდა. თუმც უკვე სეზონის მიწურულისკენ ყველაფერი შეიცვალა, ჯე იყო და, „ოლ სტარზე" საკმაოდ ბევრი ხალხი მოვიდა, შემდეგ კი სუპერფინალზეც მაყურებელთა რიცხვი რამდენმე ათასი იყო.

ახლა იმედი მაქვს, რომ ახალ სეზონს იმ ნიშნულიდან დავიწყებთ, რომელზეც გასულ წელს გავჩერდით. ეს არის ჩვენი ამოცანა.

**— რა ღირება სპორტის სასახლეში ბილეთები, შარშან მათი ფასი 3 და 5 ლარი იყო...**

— ესეც მას შემდეგ გაირკვევა, როდესაც ზუსტად გვეცოდინება, რამდენი გუნდი მონაწილეობს ჩემპიონატში. ყველაფერი ერთმანეთზეა დამოკიდებული.

**— წლეულს როგორ ჩემპიონატს ელით?**

— იმედი გვაქვს, რომ ახალი სეზონი წინაზე გაცილებით საინტერესო და დაძაბული გამოვა. საერთოდ, ასე უნდა იყოს, ყოველი მომდევნო წელი განვლილს უნდა სჯობდეს. თუ ასე არ მოხდა, ქვეყანაში კალათბურთი ვერ განვითარდება.

ნელ-ნელა ჩვენთანაც ჩნდება ყველაფერი ის, რაც წამყვან საკალათბურთო და, საერთოდ, ევროპულ ქვეყნებშია: კარგი, მაღალი დონის დარბაზი, მხარდამჭერ გოგონათა გუნდი, მაყურებელთა წამახალისებელი სხვადასხვა სანახაობა. ახლა ამ ყველაფერს კალათბურთელებიც და გუნდებიც უნდა აჰყვნენ. ამისთვის კი თამაშებზე მაყურებლის სიარულია საჭირო. სულ სხვაა, როდესაც, ფაქტობრივად, ცარიელ დარბაზში თამაშობ და სულ სხვა, როდესაც დარბაზი მაყურებლებითაა სავსე. ასეთ დროს თვითონ კალათბურთელებიც ორმაგად მოტივირებულნი თამაშობენ.

**გიორგი არაბული**

2008 წლის 15 ოქტომბერს, 12 საათზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ტარდება საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება 11 საათზე.

პრეზიდენტობის კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2008 წლის 10 ოქტომბერი.

ხელბურთი



ბაჩო კორინთელის ფოტო

# ევროპული ევროები ქართულ ხელბურთში

**ახლახანს** ვენაში ხელბურთის ევროპის ფედერაციის კონგრესი ჩატარდა და იქ საქართველოდან მონაწილეობას ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი ზაურ ცხადაძე და გენერალური მდივანი ზურაბ კაკაბაძე იღებდნენ.

კონგრესზე სხვადასხვა საკითხები განიხილეს, აგრეთვე საუბარი იყო ევროპის ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე, თუმცა ჩვენთვის მნიშვნელოვანი ისაა, რომ საქართველოსა და ევროპის ხელბურთის ფედერაციას შორის სამ წლიანი ხელშეკრულება გაფორმდა. ვიდრე ამ ხელშეკრულების დეტალებს მოგიყვებით, გეტყვით რომ დაახლოებით მსგავსი ტიპის თნამშრომლობა საქართველოს და ნორვეგიის ხელბურთის ფედერაციებსაც ჰქონდათ.

ნორვეგიელებმა ქართველ ახალგაზრდესაც უმასპინძლეს და ორი ამხანაგური თამაში გაიმართა ასაკობრივ ნაკრებებს შორის.

სკანდინავიელები დაგვეხმარნენ ეკიპირებით, ბურთებით და ასე შემდეგ. როგორც ვთქვით დაახლოებით ანალოგიური იქნება ევროპის ხელბურთის ფედერაციის დახმარება, თუმც ის ბევრად დიდ დროზეა გაწელილი და რაც მთავარია უფრო მრავალფეროვანია: სამი წლის მანძილზე ჩვენი ფედერაცია ყოველწლიურად 11 500 ევროს მიიღებს.

საქართველოში ჩამოვლენ ევროპელი სპეციალისტები და ახალგაზრდა ქართველ მწვრთნელებს სემინარებს ჩაუტარებენ. ეს თანხა მოხმარდება ხელბურთის თანამედროვე ლიტერატურის თარგმნას და დაბეჭდვას. ასევე ეკიპირების, ძირითადად კი ბურთების შეძენას რისი დეფიციტიც საქართველოში განსაკუთრებით იგრძნობა, რადგან იმის გამო, რომ მყიდველი არ არის ბურთები თითქმის არ შემოდის.

იგეგმება სკოლებში ხელბურთის შეტანა და ბავშვების დაინტერესება ამ სპორტით.

**ნიკა ძოწაძე**

ჩოგბურთი



# ანა ტატიშვილი შვიდიანს ელოდება

**აშშ-ს** ქალაქ ტროიში 50 ათას დოლარიანი საჩოგბურთო ტურნირი მიმდინარეობს. ქართველმა ანა ტატიშვილმა წყვილთა ტურნირის მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ტატიშვილმა და ამერიკელმა ბრენგლიმ, ვისი დუეტიც ტურნირზე მე-4 ნომრადაა განთესილი პირველ წრეში ბრიტანელი კარტერისა და კანადელი დაბროვსკის წყვილი 6:2 6:1 დაამარცხეს.

ერთეულთა ტურნირში კი ანას მეტოქე მე-7 ნომრად განთესილი უკრაინელი ტატიანა ლუჟანსკა იქნება.

**ნიკა ძოწაძე**

ფრენბურთი



ნინო მღებრიშვილი გოგონებს მალე შეკრებს

# მსოფლიოსთვის საქართველო საქა-რთველოთი ძლიერდება

**საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრები, პირველად არსებობის ისტორიაში, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპში მიიღებს მონაწილეობას, რომლის ფინალურ ეტაპს იაპონია უმასპინძლებს. შარშან ქართველმა ფრენბურთელებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევის პირველ წრეში ჩერნოგორიის ნაკრებს ვერაფერი მოუხერხეს, ახლა კი ბედს მსოფლიოს შესარჩევში ცდიან და დაპირისპირება დანიის, ესტონეთისა და მოლდოვის ნაკრებებთან მოუწევთ. ჩვენი ჯგუფის თამაშები ერთ ქვეყანაში ჩატარდება, თუმც კონკრეტულად რომელში, ჯერ ცნობილი არ არის. მანამდე კი ქალთა ნაკრების მწვრთნელ ნინო მღებრიშვილს ვესაუბრეთ...**

— მოლდოვას ვიცნობთ, ორი წლის წინ ვეთამაშეთ და მოვუგეთ. გარკვეული წარმოდგენა ესტონეთის ნაკრებზეც გვაქვს, დანიაზე კი ჯერჯერობით არანაირ ინფორმაციას არ ვფლობთ. თუმცა ფრენბურთის ფედერაცია ამ საკითხებზეც მუშაობს და მეტოქეებზე მეტ ინფორმაციას მივიღებთ.

— გვაქვს შანსი, რომ მომდევნო ეტაპზე გავიდეთ?

— არ არის ისეთი ჯგუფი, რომ გასვლაზე არ ვიფიქროთ. თანაბარი ძალის ნაკრებებია და შანსი ყველას აქვს. უფრო მეტის თქმა კი მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როდესაც მეტოქეებს უკეთ შევისწავლით და მოსამზადებელ ეტაპს გავივლით. საერთოდ კი, თავიდან ძალიან რთული ნაკრებები არ არიან ხოლმე, მომდევნო წრეში თუ გავედით, მერე უკვე სერიოზული ნაკრებები გველის.

— ნაკრები მზადებას როდის დაიწყებს?

— ეს დეტალებიც ზუსტდება. როდესაც გაირკვევა ის ქვეყანა, რომელიც ჩვენი ჯგუფის თამაშებს უმასპინძლებს, ამის მერე უფრო გვეცოდინება სად და როდის დაიწყებს ნაკრები მზადებას. გვინდა, რომ ნაკრებმა შეკრება საზღვარგარეთ გაიაროს, ახლოს იმ ქვეყანასთან, სადაც ვითამაშებთ. სასურველია, ამხანაგური თამაშების გამართვაც. ეს მნიშვნელოვნად წაგვადგება.

— ნაკრების შემადგენლობა როდის შეირჩევა?

— 20-25 ოქტომბერს საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდება. დავაკვირდებით გოგონებს და ახალი სახეებიც გამოჩნდება ნაკრებში. ზოგიერთმა შარშან იმიტომ ვერ ითამაშა, რომ ბოლო მომენტში ტრავმა მიიღო. შანსი ყველას მიეცემა... გვყავს ლეგიონერებიც — ხორვატიაში თამაშობს მაშა ცარენკო. მას დაველაპარაკებით და იმედი მაქვს, ითამაშებს. გარდა ამისა, თუ საერთაშორისო ფედერაცია უფლებას მოგვცემს, პლაჟბურთელებს, კრისტინას და ანდრეზას, დავიმატებთ, რაც უდიდესი ძალა იქნება ჩვენი ნაკრებისთვის. ამ გოგონების შესაძლებლობები კარგად მოგეხსენებათ და თუ მოხერხდა მათი დამატება, მაშინ ჯგუფიდან გასვლის შანსებიც გაგვიორმაგდება. ვნახოთ, რას გვეტყვიან საერთაშორისო ფედერაციაში.

ნინო მღებრიშვილთან საუბრის შემდეგ ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლევან ახვლედიანს შევხმიანეთ: „საქა და რთველოს ჩვენს ნაკრებში თამაშს საერთაშორისო ფედერაცია ხელს ვერ შეუშლის. ეს გოგონები ჩვენი მოქალაქეები არიან. შეიძლება შეზღუდვა იყოს იმაზე, რომ ორივეს ერთდროულად მოედანზე ყოფნის უფლება არ მოგვცენ, თუმც ეს არაა მთავარი, მთავარი ისაა, რომ ისინი ნაკრებში გვეყოლება. კარგი იქნება, თუ თამაში იანვარში მოგვიწევს. ამ დროს პლაჟბურთში მსოფლიო ტურები არ არის და გოგონებს ჩამოსვლა გაუადვილდებათ. რაც მთავარია, ორივემ გამოთქვა ნაკრებში თამაშის სურვილი".

ლევან მაისურაძე

ძიუდო

# ოპტიმალური და ცოტაც უჩვეულო

## ტოკიოში მსოფლიო ჩაეტევა




**დღეს** საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ტოკიოში გაემგზავრება, სადაც 5 ოქტომბერს მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე იჭიდავებს. ტურნირი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ტარდება. ჩემპიონატი როგორც კაცთა, ასევე ქალთა შორის გაიმართება. მსოფლიოს საუკეთესო ნაკრების ვინაობა რვა გუნდს შორის გამოვლინდება. აქედან ორ-ორი ევროპასა და აზიას ეკუთვნის, თითო-თითოს გამოიყვანს აფრიკა, ამერიკა და ოკეანეთი. როგორც მასპინძელი ქვეყანა, ცხადია ტურნირზე იაპონიის ნაკრებიც იჭიდავებს.

კაცთა პირველობაზე ევროპიდან საქართველოსა და რუსეთის გუნდები გამოვლენ. აზიიდან ჩემპიონატზე იაპონიის გარდა, სამხრეთ კორეისა და უზბეკეთის ნაკრებები მოსინჯავენ ძალებს. ამერიკიდან ბრაზილია იასპარეზებს, ოკეანეთიდან ახალი ზელანდია, ხოლო აფრიკიდან — ალჟირი.

ტურნირზე საქართველოს ნაკრების შემადგენლობას ოპტიმალური კი ეთქმის, მაგრამ საქმე ისაა, რომ რამდენიმე ჩვენი ფალავანი მისთვის უჩვეულო წონით კატეგორიაში გაირჯება. ნესტორ ხერგიანი 60 კგ-ში იჭიდავებს, მინდია ხომიზური — 66-ში, ზაზა კედელაშვილი — 73 კგ-ში, დავით ქევხიშვილი — 81 კგ-ში. 90 კგ-ში გამოვა ვარლამ ლიპარტელიანი, 100 კგ-ში — ირაკლი ცირეკიძე და ლევან ჟორჟოლიანი. მძიმე წონაში კი საქართველოს ნაკრების ღირსებას ლაშა გუჯეჯიანი და ნოდარ მეტრეველი დაიცავენ.



ირაკლი ცირეკიძე ათი კილოთი დამძიმდა

ქალთა ტურნირზე იაპონიის, კორეის, ჩინეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ალჟირის, კუბისა და ავსტრალიის ეროვნული გუნდები გაარკვევენ უძლიერესის ვინაობას.

ზურაბ მიგრიაული

# უფასო სპორტი დევნილებისთვის



**სამწუხაროდ,** თბილისის ბაგა-ბაღებში, სკოლებსა თუ სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფ სხვა შენობებში ჯერ კიდევ მრავლად არიან რუსულ აგრესიას გამოქცეული ადამიანები. მათ შორის ბევრია ისეთი, რომლებიც მშვიდობიანობის დროს აქტიური სპორტით იყვნენ დაკავებული. ზოგიერთი მათგანი თბილისშიც ცდილობს სპორტული ცხოვრების შენარჩუნებას. მაგალითად, 20-მდე ლტოლვილი ახალგაზრდა ბოგდან ხმელინცკის ქუჩაზე არსებულ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის სპორტულ კლუბ „ოლიმპში" დედაქალაქში ჩამოსვლისთანავე მივიდა და ძიუდოში დღემდე აგრძელებს ვარჯიშს.

გუშინ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის მესვეურებმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად ეს იძულებით გადაადგილებული სპორტსმენები მოინახულეს და საჩუქრად კიმონოები მიუტანეს.

„თითქმის ყველგან, სადაც ლტოლვილები იმყოფებიან, მივედით და გამოვარჩიეთ ახალგაზრდები, რომლებიც სპორტულ კლუბებსა თუ სექციებში მივიყვანეთ სავარჯიშოდ. სანამ თბილისში იქნებიან, თუ სურვილი ექნებათ, უფასოდ ივარჯიშებენ ამ კლუბებში. დღეს მათ საჩუქრად 30-მდე კიმონო მოვუტანეთ" — განაცხადა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავჯდომარემ დავით ნამგალაურმა.

ზურაბ მიგრიაული

ოლიმპიზმი

# პიროვნების ნახევარი და ნახევარიც ამ დღეებში

**საქართველოს** პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოლიმპიურ ჩემპიონებს მილიონ ლარს პეკინის ოლიმპიადის დაწყებამდე დაჰპირდა. ოლიმპიადიდან ოქროს მედლებით სამი ქართველი დაბრუნდა — ირაკლი ცირეკიძე, მანუჩარ კვირკველია და რევაზ მინდორაშვილი. გავრცელდა ხმები, რომ ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო ჩემპიონებს ეს პრემია აღარ გადაეცემოდათ, მაგრამ გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავჯდომარე დავით ნამგალაურმა გვითხრა, რომ ამ თანხის ნაწილი, ანუ თითო ჩემპიონს 500 ათასი ლარი, უკვე ჩაერიცხათ თავიანთ საბანკო ანგარიშებზე და დანარჩენსაც მალე მიიღებენ.

„დეპარტამენტში მაქვს მთავრობის განკარგულება, რის მიხედვითაც პეკინის ოლიმპიურ ჩემპიონებს შეპირებული თანხა უნდა გადაეცეთ. მილიონ-ნახევარი უკვე დავურიცხეთ ანგარიშზე; დანარჩენსაც ისინი რამდენიმე დღეში მიიღებენ" — გვითხრა დავით ნამგალაურმა.



ზურაბ მიგრიაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველორბოლა

# ლენს არმსტრონგი: მაჩუქეთ 10 დღე და ავსტრალია

## პაუნდმა ამერიკელს ძველი გაუხსენა



ლენს არმსტრონგი

**ლეგენდარულმა** ამერიკელმა, 1999-2005 წლებში „ტურ დე ფრანსის“ მიჯრით შვიდჯერ მომგებმა ლენს არმსტრონგმა დიდ ველოსპორტში დაბრუნება რომ გადაწყვიტა, უკვე ძველი ამბავია. არც ის გახლავთ ახალი, რომ არმსტრონგი ლუქსემბურგში დარეგისტრირებული ყაზახური ველოგუნდის, „ასტანას“ ღირსებას დაიცავს, რომლის გენერალური მენეჯერიც ბელგიელი იოჰან ბრიუნელია, სწორედ ის, რომელიც არმსტრონგის ძველ გუნდს, US POSTAL-ს (შემდგომში „დისქავერი ჩენელი“) თავკაცობდა.

არმსტრონგს სურს, თავისი კარიერა მომავალი წლის იანვრის ბოლოს, ავსტრალიაში გასამართი ერთკვირიანი „ტურ დაუნ ანდერით“ განაახლოს, მაგრამ UCI-ის (ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირი) წესებით, მრბოლს, რომელიც პროფესიონალური კარიერის განახლებას გადაწყვეტს, კავშირის ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ განცხადებიდან ექვსი თვის შემდეგ აქვს და არმსტრონგის შემთხვევაში ეს ექვსთვიანი ვადა 1 თებერვალს იწურება.

„იმედი მაქვს, რომ ავსტრალიაში გამოვალ, თუმც UCI-ის ნებისმიერ გადაწყვეტილებას მივიღებ“ — განაცხადა ამერიკელმა, რომელიც „ტურ დე ფრანსამდე“ ავსტრალიის გარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ერთკვირიან „კალიფორნიის ტურშიც“ გეგმავს გამოსვლას.

არმსტრონგი საგაისო სამზადისშია და ამ დროს WADA-ს (მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო) ყოფილმა თავკაცმა რიჩარდ პაუნდმა განაცხადა, რომ მთავარ ანტისადოპინგო ორგანიზაციას დღემდე გააჩნია პასუხგაუცემელი კითხვები „ტურ დე ფრანსის“ შვიდგზის ჩემპიონის მიერ დოპინგის შესაძლო გამოყენებასთან დაკავშირებით.

„არმსტრონგი ალბათ ფიქრობს, რომ ახლა, სამი წლის შემდეგ მისი დაბრუნება ძველ კითხვებს ზედაპირზე არ ამოატივტივებს, მაგრამ ეს კითხვები არსებობს, მათ შორის „ტურ დე ფრანსის“ ორგანიზატორთა დავთრებშიც. ერთ-ერთი მათგანი იმას შეეხება, რომ თავის დროზე არმსტრონგის დოპინგ-ტესტებში, თანაც არაერთში, ერითროპოეტინია აღმოჩენილი. მაშინ ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა ძიების გაგრძელებისგან თავი შეიკავა“ — ბრძანა პაუნდმა.

აქვე შეგახსენებთ, რომ 1999 წელს ფრანგულ „ეკიპში“ დაიბეჭდა ცნობა იმის თაობაზე, რომ არმსტრონგის ექვსი დოპინგ-ტესტი დადებითი იყო. თავად ამერიკელმა კი, უკვე მას შემდეგ, რაც ველოსპორტში დაბრუნება გადაწყვიტა, განაცხადა, რომ ექნება თხოვნა, რათა შეიქმნას ამ საქმის საგამომძიებლო სპეციალური კომისია.

# რიკარდო რიკოს 20 თვე შთხრეს

**იტალიელ** ველომრბოლ რიკარდო რიკოს, ვის სახელსაც უკავშირდება წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ ყველაზე ხმაურიანი სადოპინგო სკანდალი, სავარაუდოდ, 20-თვიანი დისკვალიფიკაციით დასჯიან.

როგორც წესი, სპორტსმენს, რომელიც პირველად არღვევს სადოპინგო წესებს, ორწლიანი დისკვალიფიკაციით სჯიან ხოლმე, თუმც ამ ჯერზე ბრალდების მხარემ განაჩენის შემცირებისთვის რიგი მიზეზები ნახა.

თუ ასე მოხდა და რიკო მართლაც 20 თვით დასაჯეს, მაშინ ის მოახერხებს 2010 წლის „ტურ დე ფრანსზე“ გამოსვლას თუ, რა თქმა უნდა, ფრანგული სუპერრბოლის მონაწილე რომელიმე გუნდი დათანხმდება იტალიელის აყვანას.

არადა, რიკო ჯერ ახალგაზრდაა, 25 წლისაც არ არის და თანამედროვე ველოპელოტონის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მრბოლად ითვლება.

წლევანდელ „ტურზე“ რიკომ დიდებულ სტილში მოიგო ორი სამთო ეტაპი და ყველას ლეგენდარული იტალიელი მარკო პანტანი გაახსენდა. მაგრამ, სამწუხაროდ, პანტანასთან შედარება ამით არ ამოიწურა და რიკარდო დოპინგზე ჩავარდა. შემდეგ მრბოლმა თავადვე აღიარა, ერითროპოეტინს ვიყენებდიო და მთელ ამ სკანდალს ის გაგრძელება მოჰყვა, რომ იტალიელის გუნდის, ესპანური „სონი დიუვალის“ სპონსორებმა სახელშერცხვენილი გუნდის დაფინანსებაზე უარი თქვეს და „სონი დიუვალი“ „ტურიდან“ ხომ მოიკვეთა, ცოტა ხანში საერთოდ გაქრა ველოსპორტის რუკიდან.

რიკარდო რიკო




კრივი



# ჯონსმა არსლანი გალახა

**პანამელმა** გილერმო ჯონსმა კვირას ჰამბურგში მეათე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა თურქული წარმოშობის, მაგრამ გერმანიის პასპორტის მქონე ფირატ არსლანი და მას პირველ მძიმე წონაში WBA-ს ტიტული აართვა.

თავად არსლანმა ეს საჩემპიონო ქამარი გასული წლის ნოემბერში მოიგო, როცა ბრიტანელი ვირჯილ ჰილი დაამარცხა. გერმანელმა ამის შემდეგ ტიტულის დაცვაც მოასწრო. ახლა კი არსლანს უკვე მეორედ უწევდა ქამრის შესანარჩუნებლად ბრძოლა და ამჯერზე დავალებას თავი ველარ გაართვა.

ბრძოლა საკმაოდ შეუპოვარი და გარკვეულწილად სასტიკიც გამოდგა, რადგანაც მორკინეები ერთმანეთს შეუბრალებლად უბრაგუნებდნენ. ჰოდა, ამ ხორცსაკეპში ჯონსს უფრო გაუმართლა, რადაგანაც ის უფრო ზუსტად მოქმედებდა. არსლანის დარტყმების უმეტესობა კი მხოლოდ ჰაერს აზანზარებდა.

პირველი დაზიანება გერმანელმა მესამე რაუნდში მიიღო, როცა პანამელის მორიგი კომბინაციების — განსაკუთრებით კი უძლიერესი აპერკოტის — შემდეგ არსლანს ტუჩი გაუსკდა. ცოტა ხანში ჯონსმა მეტოქეს ცხვირიც გაუტეხა. ჩემპიონმა მომდევნო რაუნდებში სცადა სამაგიეროს გადახდა და ერთი-ორჯერ მწარედაც მისწვდა პანამელს, მაგრამ საპასუხოდ არანაკლები სიძლიერისა და სიზუსტის დარტყმები მიიღო.

მსაჯს ბრძოლის შეჩერება პირველად მეშვიდე რაუნდში მოუწია — არსლანს სისხლდენა გაუძლიერდა და რეფერის ექიმის გამოძახება მოუხდა. ამის შემდეგ ბრძოლა კი გაგრძელდა, მაგრამ მეათე რაუნდში ჯონსის მიერ განხორციელებული დარტყმების მორიგი სერიის შემდეგ მსაჯმა ბრძოლა შეწყვიტა და პანამელს ტექნიკური ნოკაუტით მოგება ჩაუთვალა.

„ამ ტიტულისთვის ბევრი ვიშრომე და სრულიადაც დავიმსახურე“ — ამაყად განაცხადა პრესკონფერენციაზე ჯონსმა.

**ქახა ლომაშვილი**

მძლეოსნობა

# ბერლინის კაცი

**რამდენიმე** დღის წინ დიადმა ეთიოპიელმა ჰაილე გებრსელასიემ ბერლინში კლასიკური მარათონული დისტანცია, ანუ 42 კილომეტრი და 195 მეტრი 2 საათში, 3 წუთსა და 59 წამში გაირბინა და პირველი კაცი გახდა, ვინც მარათონი 2 საათსა და 4 წუთზე ნაკლებ დროში დაფარა.



ძველი მსოფლიო რეკორდიც (2:04.26) გებრსელასიეს ეკუთნოდა და ერთი წლის წინ იქვე, ბერლინში იყო დამყარებული. „ბერლინი ჩემთვის ბედნიერი ქალაქია. ვიცოდი, რომ 2 საათისა და 4 წუთის „დახურდავება“ შემეძლო, მაგრამ ამის გარანტიას ვერავის მივცემდი. ძალიან ბევრი ფაქტორის თანხვედრა უნდა მოხდეს, რათა გარბენი იდეალური გამოვიდეს — განაცხადა ჰაილემ ფინიშის შემდეგ — არნახულად ბედნიერი ვარ. გამიმართლა: მშვენიერი, მზიანი ამინდი იყო კომფორტული ტემპერატურით, პეის-მეიკერებმაც (დამხმარეებმა, სხვანაირად „კურდღლებმა“, ვინც სპეციალურად უჭრიან გზას ფავორიტს) მშვენივრად იმუშავეს. არადა, ჯერ კიდევ ორი კვირის წინ გარკვეული პრობლემები მქონდა. კუნთების ტკივილის გამო ერთი კვირა ვერ ვივარჯიშე. საბოლოო ჯამში ყველაფერი მშვენივრად გამოვიდა. ბერლინი ჩემთვის მართლაც ბედნიერი ქალაქის“.

ალსანიშნავია, რომ გებრსელასიემ ზედიზედ მესამედ მოიგო ბერლინის მარათონი და თანაც, ზედიზედ ორჯერ მსოფლიოს რეკორდით, რაც უნიკალური შედეგია. სულ, კარიერის მანძილზე, ორგზის ოლიმპიურმა და ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონმა, კლასიკურ დისტანციებზე, უკვე 18 მსოფლიო რეკორდი დაამყარა და ამის გარდა მის კოლექციაში 7 მსოფლიო მიღწევაც არის არაკლასიკური დისტანციებისთვის.

ისიც სათქმელია, რომ ბერლინში ჰაილე პირველივე კილომეტრებიდან უსწრებდა თავის შარშანდელ სარეკორდო გრაფიკს და უკვე შუა დისტანციისთვის აშკარა იყო, ეთიოპიელი ახალ მსოფლიოს რეკორდს დაამყარებდა.

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

# ოპტიმისტი და პესიმისტი დი მონტეძემოლო



**მიუხედავად** იმისა, რომ სინგაპურში გამართული, ფორმულა 1-ის ისტორიაში პირველი ღამის რბოლა „ფერარისთვის“ კოშმარულად დასრულდა და შედეგად, პილოტთა პირველობაში იტალიური საჯინიბოს ბრაზილიელი მრბოლი ფელიპე მასა ხომ უკვე 7 ქულით ჩამორჩა „მაკლარენ-მერსედესის“ ლუის ჰემილტონს, „სკუდერიამ“ გუნდურ ჩათვლაშიც წინ გაუშვა „მაკლარენი“, „ფერარის“ პრეზიდენტი ლუკა დი მონტეძემოლო დარწმუნებულთა თავისი გუნდისა და მრბოლების სიძლიერეში და მიიჩნევს, რომ მათთვის ეს სეზონიც ტრიუმფალური იქნება.

„ფერარი“ ყველაზე სწრაფი მანქანაა, მასა სადღეისოდ საუკეთესო მრბოლია, ხოლო რაიკონენმა უნდა დაამტკიცოს, რომ მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია — ბრძანა დი მონტეძემოლომ — „სკუდერია“ გაცილებით უარეს სიტუაციებში ყოფილა, მაგრამ მაშინაც ახერხებდა მდგომარეობის გამოსწორებას. მაქვს იმის მოლოდინი, რომ სეზონის ბოლომდე დარჩენილ სამ რბოლაში სამი დუბლის გაკეთებას შევძლებთ, ანუ პირველ-მეორე ადგილები მუდმივად ჩვენი იქნება, უკიდურეს შემთხვევაში კი „მაკლარენის“ მრბოლებზე წინ ვიქნებით. ფაქტია, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, რაიკონენი უნდა დაეხმაროს მასას. თითოეული პილოტისთვის გუნდური ინტერესები ყოველთვის წინა პლანზე უნდა იყოს. ჩვენ ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონები ვართ და შეგვიძლია ტიტულების შენარჩუნება“.

აქვე ლუკა დი მონტეძემოლომ სინგაპურის დიდ პრიზზეც გააკეთა კომენტარი და ზოგადად საქალაქო ტრასებზეც ისაუბრა: „არის ტრასები, სადაც რბოლის ჩატარებას ცირკის გამართვა სჯობს, რადგანაც სანახაობა უსაფრთხოების მანქანის გამოჩენაზე, ანუ ავარიაზეა დამოკიდებული. ეს ფორმულა 1-ის შეურაცხყოფაა. მსურს ეს საკითხი სხვა გუნდების წარმომადგენლებთან უახლოეს მომავალში განვიხილო. მაქვს იმის წინათგრძნობა, რომ სინგაპურული ეტაპი ისეთივე მოსაწყენი გახდება, როგორც ვალენსიის ქუჩებში გამართული ევროპის დიდი პრიზი იყო. ვალენსიაშიც და სინგაპურშიც, ფაქტობრივად, შეუძლებელია გასწრება. თუ ასეთი ტრასები კიდევ უფრო მომრავლდება, ფორმულა 1-ს სამწუხარო მომავალი ელის.“

**ბაჩა ლომაძე**

# ამბობენ, ანუ საპირველფორმულო ჭორ-მართალი

**2008 წლის** საპირველფორმულო სეზონი ფინიშს მიუახლოვდა და ამის პარალელურად გახშირდა სხვადასხვაგვარი ინფორმაციები და ჭორები, მომავალი წლის ჩემპიონატისთვის პილოტთა ერთი გუნდიდან მეორეში შესაძლო გადასვლა-გადმოსვლთასთან დაკავშირებით.

ამ ეტაპზე ერთადერთმა, „რედ ბულის“ საჯინიბომ დაასახელა მომავალი სეზონისთვის ორივე საპრიზო პილოტის ვინაობა — ავსტრალიელ მარკ ვებერს გერმანელი სებასტიან ფეტელი შეუამხანაგდება და საპენსიოდ გამზადებული შოტლანდიელი დევიდ კულტჰარდის ადგილს დაიკავებს.

წლევანდელი სეზონის მეორე ნახევარში ფეტელი ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა და მან თავისი „ტორო როსოთი“ ნამდვილი სენსაცია მოახდინა, როდესაც იტალიის დიდი პრიზის მოგება შეძლო.

თუ ვინ მეცვლის თავად ფეტელს „ფერარის“ ძრავებიან „წითელ ხარებში“, ჯერჯერობით უცნობია. ჩვენ კი ბოლო ხანებში გავრცელებულ რამდენიმე შესალო ტრანსფერის შესახებ მოგითხრობთ.

თუ ჭორებს დავუჯერებთ, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის, ბრაზილიელი ნელსონ პიკეს ვაჟი, უმცროსი ნელსონ პიკე დატოვებს „რენოს“. ნელსინიომ თავისი წლევანდელი გამოსვლით, მიუხედავად ერთი პოდიუმისა, ვერ შეძლო ფრანგული საჯინიბოს თავკაცთა საკუთარ სიძლიერეში დარწმუნება. ამბობენ, რომ ბრაზილიელის ადგილს გუნდის ტესტ-პილოტი და ამავდროულად, GP2-ის სერიის მრბოლი ლუკას დი გრასი დაიკავებს. დი გრასიმ, თურმე მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა ხერესში გამართული სამდღიანი ტესტებისას.

უნდა აღინიშნოს, რომ „რენოს“ შეფი ფლავიო ბრიატორე პიკეს ქუჩაში გაშვებას არ აპირებს და ცდილობს, თავისი პილოტი ფეტელის მიერ გათავისუფლებულ ადგილზე, „ტორო როსოში“ მოაწყოს.

ისიც სათქმელია, რომ ბრიატორეს, შეიძლება, უფრო მეტი თავსატეხიც ჰქონდეს. ეს იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ესპანელი ფერნანდო ალონსო მაინც გადაწყვეტს წასვლას და უფრო ძლიერ გუნდს დაუწყებს ძიებას. თუმცა, სინგაპურული ტრიუმფის შემდეგ ალონსომ იქნებ გადაიფიქროს კიდეც და ისევ იქ დარჩეს, სადაც 2005-06 წლებში ორი საჩემპიონო ტიტული მოიპოვა.

თუ ალონსო მაინც წავა, სავარაუდოდ, „BMW-ზაუბერში“, სადაც ნიკ ჰაიდფელდით არიან უკმაყოფილონი. ამბობენ, რომ ჰაიდფელდს გერმანული საჯინიბო აღარ დაიტოვებს და ამასთან დაკავშირებით უმალ აგორდა ჭორები, ნიკი „ჰონდაში“ წავა და იქ რუბენს ბარიკელოს ადგილს დაიკავებსო. საინტერესოა, რომ „ჰონდას“ მთავარი სამიზნე ალონსოა, მაგრამ საეჭვოა, ესპანელი ამბიციურ, მაგრამ ჯერაც ჩამოყალიბების პროცესში მყოფ საჯინიბოში რომ გადავიდეს.

„ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით ჰაიდფელდს. ამ ცოტა ხნის წინ ვესაუბრეთ კიდეც მას და მომავალზეც დავეკითხეთ“ — განაცხადა „ჰონდას“ აღმასრულებელმა დირექტორმა ნიკ ფრაიმ.

„ჰონდა“ მარტო ჰაიდფელდზე არ ფიქრობს. როგორც ამბობენ, გუნდის ტესტ-პილოტად GP2-ის მრბოლის, ლეგენდარული ბრაზილიელი აირტონ სენას დიშვილის, ბრუნო სენას აყვანას გეგმავენ. „მას დიდი ჩემპიონის სახელი და გენები აქვს“ — ესეც ფრაის სიტყვებია.

**ბაჩა ლომაძე**



შანხაის მასტერსი. შანხაი. ჩინეთი
29 სექტემბერი — 4 ოქტომბერი


სტივ დევისი

# შანხაის ახალი ჩემპიონი ეყოლება

**შანხაის** მასტერსის შარშანდელმა სენსაციურმა გამარჯვებულმა, უელსელმა დომინიკ დეილმა ტიტულის დაცვაზე ხელი პირველივე წრეში აიღო. ის, რომ დეილი ჩემპიონობას ვერ შეინარჩუნებდა, ყველასთვის ნათელი იყო, მაგრამ საწყის შეხვედრაშივე თუ დამარცხდებოდა, ბევრს არ ეგონა. უელსელის მეტოქე მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი, მაგრამ უკვე დაბერებული ინგლისელი სტივ დევისი იყო, რომელმაც ძირითად ბადეში თამაშის უფლება კვალიფიკაციის გავლით მოიპოვა.

მატჩის ბედი მე-9 ფრეიმში გადაწყდა, როდესაც დევისმა 33 და 54-ქულიანი სერიები გააკეთა და შეხვედრა 5:4 მოიგო.

მეორე წრეში ვეტერანი ჩინელ დინ ჯუნხუსა და ინგლისელ დეივ ჰეროლდს შორის საუკეთესოს შეხვდებოდა, ხოლო მათ შორის მოგებული მეოთხედფინალში ავსტრალიელ ნილ რობერტსონსა და უელსელ რიკი უოლდენს შორის გამარჯვებულზე გავა. რობერტსონმა მთელი გასული სეზონის ჩაგდების შემდეგ ისევ გაიხსენა გამარჯვების გემო და ირლანდიელი ფერგელ ობრაიენი 5:2 დაამარცხა, ხოლო კვალიფიკაციიდან წამოსულმა უოლდენმა დაძაბულ ბრძოლაში 5:4 აჯობა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს, შოტლანდიელ სტივ ჰენდრის. ვეტერანი სქოთი მუდმივად წინ იყო, მაგრამ უელსელმა 104-ქულიანი ბრეიკით გაათანაბრა ანგარიში და ბოლოს გადამწყვეტ ფრეიმშიც იმარჯვა.

ბადის ზედა ნახევარში კიდევ ორი შეხვედრა გაიმართა. ინგლისელმა მარკ სელბიმ დიდებულ სტილში — 88, 105, 85 და ორჯერ 75-ქულიანი სერიებით — იოლად, 5:1 მოუგო ჭაბუკ თანამემამულეს ჯად ტრამპს და ახლა კიდევ ერთ თანამემამულეს მარკ კინგს შეხვდება, რომელმაც 5:4 აჯობა ასევე ინგლისელს, ვეტერან ჯიმი უაიტს. უაიტმა საკვალიფიკაციო ეტაპზე მშვენიერი შთაბეჭდილება კი დატოვა, მაგრამ კინგთან ბრძოლას ბოლომდე ვეღარ გაუძლო და შანხაის დაემშვიდობა.

ბადის ქვედა ნახევარში სამი მატჩი გაიმართა და ერთი სამეორწრეო წყვილის ვინაობა გაირკვა — მსოფლიოს ჩემპიონი, ინგლისელი რონი ოსალივანი თავის თანამემამულეს ჯო პერის შეხვდება. რონიმ უპრობლემოდ, 5:2 მოუგო კიდევ ერთ ინგლისელ სტიუარტ პეტმენს, თუმც რამე განსაკუთრებული არ გაუკეთებია. აი, პეტმენმა კი 106-ქულიანი ბრეიკი გააერხა, თუმც ეს ფაქტი მას სანუგეშოდღა თუ გამოადგება. რაც შეეხება პერის, მან კიდევ უფრო იოლად, 5:1 დაჯაბნა უელსელი მეტიუ სტივენსი.

დღის ყველაზე დაძაბული და ლამაზი სანახაობა კი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, შოტლანდიელმა ჯონ ჰიგინსმა და ინგლისელმა ტომ ფორდმა დადგეს. პირველი სამი ფრეიმი ჰიგინსმა მოიგო და თითქოს ყველაფერი ნათელი გახდა, მაგრამ ფორდი არ დანებდა — ორი ფრეიმის მოგებით ინგლისელმა ჩამორჩენა 2:3-მდე შეამცირა და აქ კი ჰიგინსმა 136-ქულიანი ბრეიკით, რაც ჯერჯერობით ტურნირზე საუკეთესო შედეგია, თითქოს საბოლოოდ დაანოკაუტა მეტოქე. ფორდი არც ამან გატეხა და ზედიზედ ორი პარტიის მოგებით (აქედან ერთში ასქულიანი ბრეიკით) ანგარიში გაათანაბრა. ბოლო მაინც ჰიგინსისა იყო — შოტლანდიელმა კლასის ხარჯზე შესანიშნავ სტილში მოიგო გადამწყვეტი ფრეიმი და მეორე წრეში გავიდა, სადაც უელსელ რაიან დეისა და ჩინელ ლიან ვენბოს შორის გამარჯვებულს შეხვდება.


ჯონ ჰიგინსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. II ტური. წუხელ

## A ჯგუფი

### კლუჟი 0:0 ჩელსი

კლუჟი: სტენჩოიუ, ტონი, დე სოუზა, კადუ, ალვარუ ფერეირა, კულიო, მურეშანი, დანი, დუბარბიერი, კონე, ტრიკე (დიდი 89)
მწვრთნელი: მაურიციო ტრომბეტა
ჩელსი: ჩეხი, ბოსინგვა, ალექსი, ტერი, ბრიჯი, მიკელი, კალუ (ანელკა 46), ბალაკი, ლამპარდი, მალუდა (დი სანტო 74), დროგბა (ბელეტი 58)
მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი
გაფრთხილება: ალექსი, ალვარუ პერეირა, ანელკა, დანი
მსაჯი: ფლორიან მაიერი (გერმანია)
22 000 მაყურებელი

### ბორდო 1:3 რომა

1:0 გურკუფი (18), 1:1 ვუჩინიჩი (64), 1:2, 1:3 ბაპტიშტა (71, 83)
ბორდო: ვალვერდე, შალმე, ენრიკე, დიავარა, ჟურიეტი (გუფრანი 78), ფერნანდუ, დიარა, ობერტანი (პლანიუ 40), გურკუფი, ჟუსიე (ვენდელი 37), შამახი
მწვრთნელი: ლორან ბლანი
რომა: დონი, სისინიუ, მექსესი, პანუჩი, რიისე, დე როსი, აკვილანი (ოკაკა ჩუკა 63), ტადეი, პეროტა, მენეზი (ბაპტიშტა 51), ვუჩინიჩი (ბრიგი 84)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: დიარა, პანუჩი, ტადეი, ბაპტიშტა, დე როსი, შალმე
გაძევება: ენრიკე (36)
მსაჯი: ალბერტო უნდიანო მალიენკო (ესპანეთი)
27 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| კლუჟი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| რომა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ბორდო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | 0 |

## B. ჯგუფი

### ანორთოსისი 3:1 პანათინაიკოსი

1:0 სარიეგი (11ს.კ.), 2:0 დობრაშინოვიჩი (15), 2:1 სალპინგიდისი (28პ), 3:1 თაპერი (78)
ანორთოსისი: ბექაი, ა. კონსტანტინუ, კაცავაკისი, ნიკოლაუ, ლეივაკაბესი, დელასი, დობრაშინოვიჩი, პაულუ კოშტა (ბარდონი 46), ლაბანი, სავიო (პანაგი 82), სოსინი (თაპერი 64)
მწვრთნელი: თემურ ქეცბაია
პანათინაიკოსი: გალინოვიჩი, ვინტრა, სარიეგი, გუმასი, სპიროპულოსი, ჟილბერტუ სილვა (ციოლისი 80), მუნი (სოუზა 67), მატოსი, კლეიტონი, პრისტოდულოპულოსი (ივანშიცი 72), სალპინგიდისი
მწვრთნელი: ჰენკ ტენ კატე
გაფრთხილება: ლეივაკაბესი, კაცავაკისი, ჟილბერტუ სილვა, გუმასი, სალპინგიდისი
მსაჯი: ფლორიან მაიერი (გერმანია)
21 420 მაყურებელი

### ინტერი 1:1 ვერდერი

1:0 მაიკონი (13), 1:1 პისარო (62)
ინტერი: ჟულიუ სეზარი, მაიკონი, კორდობა, მატერაცი (ბურდისო 20), ძანეტი, სტანკოვიჩი (კუარეშმა 72), კამბიასო, მუნტარი, ბალოტელი, იბრაჰიმოვიჩი, ადრიანო (კრუსი 78)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
ვერდერი: ვიზე, პრიოდლი (ფრიცი 86), მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი, ფრინგსი, ბაუმანი, ოზილი (დ. იენსენი 82), დიეგო, პისარო, როსენბერგი (ჰუნტი 78)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ბაუმანი, დიეგო, სტანკოვიჩი, ფრინგსი, კრუსი, დ. იენსენი
მსაჯი: ერიკ ბრამჰარი (ჰოლანდია)
30 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანორთოსისი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ინტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ვერდერი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| პანათინაიკოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

## C ჯგუფი

### სპორტინგი 2:0 ბაზელი

1:0 რომანიოლი (55), 2:0 დერლეი (86)
სპორტინგი: რუი პატრისიუ, აბელი, ანდერსონ პოლგა, ტონელი, გრიმი, მიგელ ველოზუ, როშემბაკი (ვუკჩევიჩი 46), ჟოაუ მოუტინიუ, რომანიოლი (პერეირინია 87), დერლეი, ელდერ პოშტიგა (ჟალო 73)
მწვრთნელი: პაულუ ბენტუ
ბაზელი: კოსტანცო, ცანი, აბრაამი, ფერატი, საგარი, ჰუგელი, კარლიტუში, ფელაბერი (ერგიჩი 60), გიასულა, ჩიპერფილდი (პეროვიჩი 82), შტრელერი (მუსტაფი 79)
მწვრთნელი: კრისტიან გროსი
გაფრთხილება: გრიმი, მიგელ ველოზუ, შტრელერი, ტონელი
მსაჯი: ნიკოლა რიცოლი (იტალია)
22 368 მაყურებელი

### შახტარი 1:2 ბარსელონა

1:0 ილსინიუ (45), 1:1, 1:2 მესი (87, 90)
შახტარი: პიატოვი, სრნა, იშჩენკო, ჩიგრინსკი, შევჩუკი, ჰიუბშმანი, დულიაი (ლევანდოვსკი 90), ფერნანდინიუ, ილსინიუ (ვილიანი 86), ბრანდაუ, ლუიშ ადრიანუ (სელეზნიოვი 72)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
ბარსელონა: ვალდესი, პიკე, მარკესი, პუიოლი, დანი ალვეში, კეიტა (გუდიონსენი 81), ხავი, ტურე, ინიესტა, ანრი (მესი 60), ეტოო (კრკიჩი 74)
მწვრთნელი: ხოსეპ გვარდიოლა
გაფრთხილება: ხავი, სრნა, ფერნანდინიუ, ჩიგრინსკი, კეიტა, ბრანდაუ, მარკესი, ინიესტა
მსაჯი: ჰოვარდ ვები (ინგლისი)
26 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| შახტარი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| სპორტინგი | 2 | 0 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ბაზელი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

## D ჯგუფი

### ლივერპული 3:1 პსვ

1:0 კუიტი (4), 2:0 კინი (34), 3:0 ჯერარდი (76), 3:1 კუვერმანსი (78)
ლივერპული: რეინა, არბელოა, შკრტელი, კარაგერი, ფაბიუ აურელიუ, ხაბი ალონსო, კუიტი, რიერა (ბენაიუნი 68), ჯერარდი (ბაბელი 82), კინი (ლუკაშ ლეივა 76), ტორესი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
პსვ: ისაკსონი, მარსელისი, ბრეშე (პიეტერსი 46), სალსიდო, კრომკამპი, კულინა, სიმონსი, ვუიტენსი (კუვერმანსი 60), მენდესი (ძუძაკი 76), ბაკაი, ამრაბატი
მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი
გაფრთხილება: მარსელისი
მსაჯი: ფელიქს ბრიხი (გერმანია)
41 097 მაყურებელი

### ატლეტიკო 2:1 მარსელი

1:0 აგერო (4), 1:1 ნიანგი (16), 2:1 რაულ გარსია (22)
ატლეტიკო: ფრანკო, პერეა, უიფალუში, ჰეიტინგა, პერნია, მაქსი როდრიგესი (ბანეგა 82), რაულ გარსია, პაულუ ასუნსაუ, მიგელი (ლუის გარსია 82), სინამა-პონგოლი (მანიშე 67), აგერო
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
მარსელი: მანდანდა, ბონარი, ჰილტონი, ერბატი (ზუბარი 46), ტაივო, შეირუ, კანა, ზიანი, ბენ არფა (ზენდენი 51), ნიანგი, ვალბუენა (ბ. კონე 76)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: ბენ არფა, ტაივო, პერნია, შეირუ
მსაჯი: ტომ ჰენინგ იოვრებიო (ნორვეგია)
43 290 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ლივერპული | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| მარსელი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| პსვ | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

# ბარსას მესია ისევ მესია




**თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისი" საფეხბურთო სამყაროს გაოცებას აგრძელებს. კვიპროსელებმა ბერძნული „პანათინაიკოსი" ბევრისთვის მოულოდნელად დაამარცხეს და ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერებიც გახდნენ.

„ანორთოსისი" ათენელთა ავტოგოლის წყალობით დაწინაურდა. შემდეგ, სავიოს კარგ ჩაწოდებას სინიშა დობრაშინოვიჩის თავური და ეფექტური გოლი მოჰყვა. 27-ე წუთზე ჯეფრი ლეივაკაბესიმ თითქოს უწყინარ სიტუაციაში ხელით ითამაშა და პენალტი „აიკიდა", რომელიც დიმიტრიოს სალპინგიდისმა აქცია გოლად.

ამის მერე, „პანათინაიკოსმა" თითქოს მოიპოვა ტერიტორიული უპირატესობა, მაგრამ მწვავე მომენტები იშვიათად იქმნებოდა. ყველაფერი 78-ე წუთზე გადაწყდა, როცა ჰავარ თაპერმა მშვენიერი თავურით მესამე გოლი გაუტანა ბერძნებს. ეს ისტორიული გოლი იყო — თაპერი პირველი ერაყელია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში გოლი გაიტანა. დარჩენილ დროში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

ამ ჯგუფის მეორე მატჩში „ინტერმა" შინ „ვერდერს" ვერ სძლია. ჟოზე მაურინიუს შეგირდებმა ტაიმი დუგლას მაიკონის გოლით მოიგეს, მაგრამ კლაუდიო პისარომ ანგარიშის გათანაბრება შეძლო და ბრემენელებმა „სან სიროდან" ქულა წაიღეს.

„კლუჟმა" კი მორიგი სენსაცია შემოგვთავაზა. რუმინელებმა „რომას" ძლევის მერე, „ჩელსისთან" ფრეს მიაღწიეს და ლონდონელებთან ერთად ჯგუფსაც ლიდერობენ.

„რომა" „ბორდოსთან" აგებდა — იტალიის დედაქალაქელებს იოან გურკუფმა გაუტანა, მაგრამ ფრანგებს 36-ე წუთზე ენრიკე გაუძევეს. მიუხედავად ამისა, მათ თითქმის ერთი საათი გაძლეს, მაგრამ ბოლოს მაინც გატყდნენ. ანგარიში მირკო ვუჩინიჩმა გაათანაბრა, ორი გოლი კი ჟულიუ ბაპტიშტას ანგარიშზეა.

დონეცკში დიდი სენსაცია მწიფდებოდა, სადაც „შახტარი" ილსინიუს გოლით ბოლო წუთებამდე უგებდა „ბარსელონას", მაგრამ კატალონიელებს მხსნელად ისევ ლიონელ მესი მოევლინა. არგენტინელმა 87-ეზე გაათანაბრა, მეოთხე კომპენსირებულ წუთზე კი სულაც გამარჯვების ბურთი შეაგდო.

„ბაზელმა" პირველ ტაიმში კი გაუძლო „სპორტინგის" იერიშებს, მაგრამ მეორეში ვეღარაფერი გააწყო. ლისაბონელები ლეანდრო რომანიოლიმ დააწინაურა, მეორე გოლი კი მატჩის მიწურულს დერლეიმ შეაგდო.

D ჯგუფში ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა. „ლივერპულმა" პირველივე ტაიმში მოუმთავრა საქმე პსვ-ს, გოლები დირკ კუიტმა და რობი კინა გაიტანეს. 78-ეზე ჯარიმიდან მერსისაიდელთა კაპიტანმა სტივენ ჯერარდმაც იხეირა. ერთი, რაც ეინდჰოვენელებმა შეძლეს, დანი კუვერმანსის გოლია.

საინტერესოა, რომ კინმა პირველი გოლი გაიტანა მერსისაიდელთა მაისურით, ჯერარდისთვის კი ეს მეასე ბურთი გახლდათ.

მადრიდის მატჩის ბედი 22 წუთში გადაწყდა. „ატლეტიკო" მე-4 წუთზევე დააწინაურა ჩინებულ ფორმაში მყოფმა სერხიო აგერომ, რომელმაც მთელი მატჩი დიდებულად ჩაატარა. მამადუ ნიანგმა მე-16 წუთზე წონასწორობა კი აღადგინა, მაგრამ ექვს წუთში რაულ გარსიამ გაიტანა და — 2:1. დარჩენილ დროში, მიუხედავად შექმნილი მომენტებისა, არაფერი შეცვლილა. „ატლეტიკო" უკეთ გამოიყურებოდა და მოგებასაც იმსახურებდა.

**გიორგი ქაქაბაძე**

## ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი

შესარჩევი მატჩები

სან მარინო 0:3 სლოვაკეთი
შოტლანდია 2:3 საფრანგეთი
ირლანდია 0:1 საბერძნეთი
ლუქსემბურგი 3:1 ანდორა

## გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

ობერნოილანდი 1:0 ქემნიცი

## იაპონია

ჯეილიგა

ოსაკა 2:1 კაშივა
კაშიმა 2:0 ომია
ურავა 2:2 კიოტო

## იტალია

კოპა იტალია

ბოლონია 1:0 ასკოლი
ლაციო 2:0 ატალანტა
ტორინო 3:2დ.დ.(2:2) ლივორნო

## ჩეხეთი

თასი

პიშეკი 1:4 ტეპლიცე
სლოვაცკო 0:0(4:3პ) ბრნო

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge